საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლდვე

◎ არაფრის დიდებით!

საბოლოოდ დასამარდება სახალხო დამცველის ინსტიტუტი?

სახელი მაინც გადაარქვით...

აბა, ისე როგორ იქნებოდა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის 10-წლიანი იუბილე ისტორიული მოვლენით არ აღნიშნულიყო.

დიახ, სხვაგვარად ძნელია შეაფასო ის ბედის უკუღმართობა, რაც წლეანდელ დეკემბერში ელის ჩვენს სამშობლოს — სახალხო დამცველად ნაყოფიერად მოღვაწეობის 5-წლიანი ვადა ეწურება ერის საამაყო შვილს, თითოეული ქართველის მეოხსა და მართალთა შორის უმართლეს ქალბატონს **ნინო ლომჯარიას,** რომელსაც, მადლიერების ნატამალი რომ გვეცხოს, გამონაკლისის წესით, ავტომატურად უნდა ვუხანგრძლივებდეთ უფლებამოსილების ვადას და, თუ საქმე საქმეზე მიდგება, თვით პარლამენტმა უნდა შეიტანოს სათანადო შესწორება შესაბამის დოკუმენტში.

ახლა კი შაყირს შევეშვათ და, ვიდრე ძირითად სათქმელზე გადავალთ, ის ვიკითხოთ, ოფიციოზის ხმალამოღებული მტერი მართლაც სახალხო დამცველია თუ სახალხოდ კლასიკური დამსმენი, რომელიც საკუთარ გავლენიან უცხოელ პატრონებთან ისეთ „დანოსებს“ აგზავნის მმართველი პოლიტიკური ძალის ძირგამომთხრელი საქმიანობისა თუ ოპოზიციის დევნის შესახებ, რომ კაცს გული აგიჩუყდება — თურმე, ეს რა ტირანია სუფევს ევროპულ ოჯახში დაბრუნებაზე მოჩალიჩე ოლიგარქიულ სახელმწიფოშიო.

რაც შეეხება ჩაშვების დიდოსტატის სავარაუდო შემცვლელად არასამთავრობო სექტორის მიერ ერთთვიანი მსჯელობის შედეგად შერჩეულ კანდიდატთა ტრიოს, ისეთი თაიგული შეკრულა, შეგვიძლია დღესვე დავარისხოთ განგაშის ზარები და, უკვე მერამდენედ, დავასკვნათ, რომ „არ გათეთრდების ყორანი“!

მართლაც, რა განსხვავებაა, ვინ იბაირამებს მომავალი ხუთწლედის განმავლობაში სარფიან სავარძელში, როცა შემოთავაზებული სამაიადან რომელიმესთვის ნდობის გამოცხადების შემთხვევაში შესაკრებთა ადგილების შეცვლით ჯამი მაინც არ შეიცვლება?

გიორგი ბურჯანაძე: მიმავალი შეფინიას მოქმედი მოადგილე, რომელსაც, ტრადიციისამებრ, რასაც ჩასძახებენ, იმასვე ამოიძახებს? ანუ, ნაცვლად იმისა, რომ ხანგრძლივი გრიალისა და სამარცხვინო თავქალის მორჩილად რუპორობის შემდეგ მასვე მიჰყვებოდეს, პირიქით — დაწინაურებას უპირებენ და ისედაც ავტორიტეტშებღალული უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციის დაქვესკნელებაში კიდევ უფრო სოლიდური წვლილის შესატანად სწირავენ.

ნაზი ჯანეზაშვილი: თუ ბატონ გიორგის, ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად, შუასაუკუნისდროინდელ საყვარელ ლიტერატურულ პერსონაჟთა, გნებავთ — მუშკეტერთა მსგავსი წვრილი ულვაში გამოარჩევს, მისი ჩაფსკვნილ-ჩაფუმფულებული კონკურენტ-კოლეგა ქალბატონი ვაჟკაცური აღნაგობით თამადას მოგვაგონებს, მაგრამ ნეტავ მეტი არაფერი იყოს ხაზგასასმელი.

საკმარისია რომელიმე „კრიტიკული ტელეარხის“ ვითომ პოპულარულ თოქშოუს შეავლო თვალი, რომ უმალ შემოგანათებს სასამართლო სისტემაში გამეფებული ყბადაღებული „კლანის“ დაუღალავად მამხილებელი თანამედროვე ოთარანთ ქვრივის პროფანაციის სახება, რომელსაც რკინის ქალამნების ჩაცმის პარალელურად საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციაც გაუიმასქნებია და, როლში შეჭრილი, არც ვირტუალურ მტერს ინდობს და არც ყოფილ მოყვარეს, თუ, რა თქმა უნდა, ჰყავდა ოდესმე.

ანა აბაშიძე: მადლიანი ქართული სიმღერისა არ იყოს, მესამე ხმა აუცილებელი კია, მაგრამ როცა ენა და მათრახი სინონიმები ხდებიან, ძნელია მიკროფონით ბოროტად მოსარგებლეს, თანაც პირწავარდნილ სოროსელს, ორატორული ხელოვნება შეუქო.

ნახსენები სუბიექტის ნაკაიქალარი საადვოკატო ბიოგრაფიიდან მხოლოდ ორ გახმაურებულ საქმეს შეგახსენებთ: ნინოწმინდის ბავშვთა სახლისა და სახელოვან ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილისა.

კიდევ ერთხელ გეკითხებით: ღმერთმა ნუ ქნას და, ვიმედოვნებთ, არც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო დაუშვებს, მაგრამ ანტისამთავრობოთა მიერ შერჩეული „ტროიკიდან“ რომელიმე რომ იმ არწივისა არ იყოს, ძალიან მაღლა აფრინდეს, დასამარდება თუ არა საბოლოოდ სახალხო დამცველის ინსტიტუტი? ვფიქრობ, პასუხი ერთმნიშვნელოვნად დადებითი იქნება.

გია პლატონიშვილი

კახა კალაძე: გვაცალეთ უმძიმესი პრობლემის მოგვარება!

დედაქალაქის მერის, კახა კალაძის განცხადებით, თბილისში გადაადგილებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებით გამოწვევები არსებობს, თუმცა, მუნიციპალიტეტი ყველაფერს აკეთებს, რომ აღნიშნული პრობლემები მოგვარდეს.

„ყველა წარმატებული პროექტის უკან, რაც ბოლო წლებში დედაქალაქში მიმდინარეობს, დგახართ თქვენ, რიგითი ადამიანები, ვისაც ქალაქის წარმატება და განვითარება უხარია. თქვენგან კრიტიკაც მოდის, რაც მისაღებია, თუმცა, ეს კრიტიკა უნდა იყოს სამართლიანი. მოქალაქეების არცერთი წერილი, რჩევა ყურადღების მიღმა არ რჩება. ყველა პროექტის განხორციელების დროს ჩვენთვის თქვენი მხარდაჭერა მნიშვნელოვანია. უამრავი კარგი პროექტი გავაკეთეთ და უფრო მეტს გავაკეთებთ.

პირველ რიგში, დავიწყეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება. მეამაყება, რომ თბილისს ყველაზე ახალი, მოწესრიგებული ავტობუსები და მიკროავტობუსები ჰყავს. ისინი ყველანაირად გამართულია კონდიცირება-გაგრილება-გათბობის სისტემებით, აღჭურვილია შესაბამისი უსაფრთხოების კამერებით, ადაპტირებულია შშმ პირთათვის და ა.შ. მოუწესრიგებელი იყო ის ძირგამომპალი ე.წ. ყვითელი ავტობუსები, დანგრეული, გაუბედურებული ყვითელი „ბოგდანები“, რომელიც უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა, როგორც გადაადგილების, ასევე ეკოლოგიის თვალსაზრისით. ქალაქში ჰაერის პირველი დამბინძურებელი იყო მაშინდელი „ყვითელი ავტობუსები“ და მიკროავტობუსები. ხომ არ დაგვავიწყდა, რა ვითარება იყო? ეს წარსულს ჩავაბარეთ, თქვენი მხარდაჭერით და თანადგომით...

„შემდეგი ნაბიჯი ის არის, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა და კომფორტი გავზარდოთ. დღეს ქალაქში გვაქვს გადაადგილების პრობლემა და ეს მხოლოდ ერთი კონკრეტული მიზეზით გამოწვეული არაა. რა თქმა უნდა, ავტომობილების რაოდენობა ყოველ წელს იზრდება, თუმცა, ამას გამართული, კომფორტული, ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტი უნდა დავუპირისპიროთ. გაძლევთ პირობას, რომ ასეც იქნება. ზუსტად ამის გამო ვაწარმოებთ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს. დიახ, სამწუხაროდ, არის დისკომფორტი. ორი მნიშვნელოვანი კვანძი — ქეთევან დედოფლისა და მელიქიშვილის გამზირები გადათხრილია, თუმცა, ჩვენ ამას იმისთვის ვაკეთებთ, რომ ყველაფერი მოწესრიგდეს და ქალაქში გადაადგილება იყოს კომფორტული“.

როდესაც სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდება, **„საზოგადოებრივი ტრანსპორტი ყველაზე სწრაფი, ყველაზე ხელმისაწვდომი და ყველაზე კომფორტული იქნება“.**

გასულ წელს, პიკურ პერიოდში დედაქალაქში 460 ათასი ავტომობილი მოძრაობდა, დღეს კი, ყოველდღიურად 590 ათასი კერძო ავტომობილი გადაადგილდება. **ყველას ვთხოვთ, რომ გაითვალისწინონ ეს და დაიცვან ძალაძი სატრანსპორტო კოლაფსისგან!**

„თბილისობის“ დღესასწაული ორწლიანი პაუზის შემდეგ პირველად იმართება

„თბილისობის“ დღესასწაული, ორწლიანი პაუზის შემდეგ, პირველ და ორი ოქტომბერს გაიმართება, — ამის შესახებ თბილისის მერმა, კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, „თბილისობის“ ღონისძიებები რიყის პარკში და ლელვთახევში, ასევე, ორბელიანის, გუდიაშვილისა და ევროპის მოედნებზე აღინიშნება.

„პანდემიის გამო, ვერ მოვახერხეთ „თბილისობის“ ჩატარება. რთული პერიოდი გამოვიარეთ, თუმცა, წელს გვაქვს შესაძლებლობა, გარკვეული ღონისძიებები ჩავატაროთ. იქნება ინსტალაციები, გამოფენები, კონცერტები, სამეწარმეო და გასტრონომიული ბაზრობები, სპორტული და საბავშვო აქტივობები“, — განაცხადა კახა კალაძემ.

გალა-კონცერტი ევროპის მოედანზე პირველ ოქტომბერს, 19:30 საათზე გაიმართება.

„გელოდებით ყველას, მობრძანდით, ერთად აღვნიშნოთ „თბილისობა“. რაც შეეხება საპატიო თბილისელების დაჯილდოებას, ღონისძიება გაიმართება 2 ოქტომბერს, 20:00 საათზე, სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში. „თბილისობის“ სრული პროგრამა განთავსებულია მერიის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის“...

DIBS-ში თავდაცვისა და უსაფრთხოების პროგრამა გაიხსნა

პირველად საქართველოში თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (DIBS) თავდაცვისა და უსაფრთხოების გრძელვადიან, სტრატეგიული დონის პროგრამას მასპინძლობს.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, პროგრამა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ და თავდაცვის ძალების მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გიორგი მათიაშვილმა ოფიციალურად გახსნეს. მათ პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და კურსის მონაწილეებს წარმატებები უსურვეს.

„სწავლება ექვს მოდულს მოიცავს: სტრატეგიული ლიდერობა, უსაფრთხოების პოლიტიკა და სტრატეგიული განვითარება, საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოება, საქართველოს უსაფრთხოების არქიტექტურა, თავდაცვის დაგეგმარება და მენეჯმენტი, სტრატეგიული ოპერაცია და დაგეგმარება.

ექვსთვიანი პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია ეროვნული უსაფრთხოების კუთხით მომუშავე ექსპერტების ლექციები, ასევე ვიზიტები პარტნიორ ქვეყნებში.

სწავლებაში მონაწილეობენ თავდაცვის უწყების მაღალი რანგის სამხედრო წოდების მოსამსახურეები, სამოქალაქო ოფისის წარმომადგენლები და უსაფრთხოების სფეროს უწყებების მენეჯერული რგოლის თანამშრომლები.

2023 წლიდან დაგეგმილია პროგრამის განხორციელება თავდაცვის სამინისტროსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში. კერძოდ, სამაგისტრო პროგრამა თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლისა (DIBS) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს შორის შეთანხმების საფუძველზე წარიმართება. მსმენელებს შესაძლებლობა ექნებათ, ექვსთვიანი პროგრამის გავლის შემდეგ გააგრძელონ სწავლა თსუ-ს აღმასრულებელ სამაგისტრო პროგრამაზე და მოიპოვონ ერთწლიანი სამაგისტრო ხარისხი. ეს პროგრამა DIBS-ის მიერ განხორციელებული უწყებათაშორისი ეფექტიანი თანამშრომლობისა და კოორდინაციის კიდევ ერთი კარგი მაგალითია“, — აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

№154. ხუთშაბათი, 29 სექტემბერი, 2022 წელი.

...როგორ განვითარდება მოვლენები ოპოზიციურ ფლანგზე, ვინ ვისკენ გადაიხრება და რატომ ცდილობს კეზერაშვილი პოლიტიკური ფესვების გაღრმავებას, – ამაზე for.ge-თან პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე საუბრობს.

როცა ოლიგარქი კეზერა ფულებში იხრჩობა, თითივით გალოკილი მელია ტირილით კვდება...

„კეზერაშვილის მოქმედებები არალოგიკურიც არის – ურთიერთობას ისეთ ფიგურებთან იწყებს, რომელთა გამარჯვების შანსი მინიმალურია

— „ნაციონალურ მოძრაობაში“ არეულობა ფიზიკურ დაპირისპირებამდე მივიდა. ფიქრობთ, რომ პარტიაში არსებულ განხეთქილებას ნიკა მელიას პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან გადაყენება მოჰყვება?

— ნიკა მელიასი და პარტიის გზების გაყოფას უფრო ადრე ველოდი. მას პარტიაში მომხრეები უდავოდ ჰყავს, რამაც თავის დროზე მისი არჩევა განაპირობა. მელიას მომხრეები არ დაეკარგება და შეიძლება ამ ადამიანებთან ერთად ცალკე პოლიტიკური პარტია შექმნას. უბრალოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგის გარეშე იბრძოლებს. ისიც უნდა ითქვას, რომ „ნაცმოძრაობასაც“ ეს რეიტინგი არა მელიასგან, არამედ სააკაშვილისგან აქვს.

— თქვენ ახსენეთ, რომ მელიას რეიტინგი სააკაშვილისგან ჰქონდა. ამ შემთხვევაში, ექს-პრეზიდენტი ვისკენ გადაიხრება, რადგან „ნაციონალურ მოძრაობაში“ ღიად საუბრობენ, რომ მელია სააკაშვილის გასათავისუფლებლად არაფერს აკეთებდა?

— როგორც მახსოვს, მელიას თავმჯდომარედ არჩევის დროსაც, სააკაშვილი მის მხარეს არ იყო. მას სხვა კანდიდატურა ჰყავდა. მელია მომხრეებმა გაიყვანეს. პრინციპში, პარტიის თავმჯდომარის მიმართ სააკაშვილის მხარდამჭერების მხრიდან რა პრეტენზიებიც ისმის, რომ მან პრეზიდენტის გათავისუფლება არ სცადა, ამაზე სააკაშვილს კრიტიკული დამოკიდებულება ექნება. გვახსოვს, აღნიშნული უკმაყოფილება სააკაშვილის ბიძის, **თემურ ალასანიას** პირითაც გაჟღერდა.

— შეიძლება ითქვას, რომ თემურ ალასანია კეზერაშვილთან ერთად მელიას კლანს დაუპირისპირდება?

— ალასანია მელიასთან დაპირისპირებული, ალბათ, იქნება, რადგან მისგან რადიკალურ მოქმედებებს მოითხოვდა. თუკი ალასანია-კეზერაშვილის ალიანსი შეიქმნება, ალასანიას უკან სააკაშვილის ფიგურა უნდა ვიგულისხმოთ.

— ვიდრე „ნაციონალურ მოძრაობის“ ასეთი დაპირისპირება საჯაროდ გამოვიდოდა, იქამდე სააკაშვილის შვილმა განაცხადა, რომ მამამისი პოლიტიკიდან მიდის. უკავშირდება ექს-პრეზიდენტის ეს განცხადება იმ დაპირისპირებას და წყლის ამღვრევას, რომელიც დღეს პარტიაში არის?

— ვერ გეტყვით, უკავშირდება თუ არა. სააკაშვილის ვაჟს აშკარად ნეიტრალური პოზიცია უკავია. ის ცდილობს პოლიტიკაში არ შევიდეს და პოლიტიკური თამაში არ დაიწყოს. როგორც ჩანს, პოლიტიკა მისთვის მიმზიდველი სფერო არ არის.

— ელენე ხოშტარია აღარ მალავს, რომ კეზერაშვილისგან ფინანსდება. თავდაცვის ყოფილი მინისტრის გვერდით იქნება „სტრატეგია აღმაშენებელიც“, რამდენად გაუმარლებენ ეს ადამიანები კეზერაშვილს იმედებს?

— ფაქტია, კეზერაშვილმა „ნაციონალურ მოძრაობაზე“ გული აიცრუა. ამ დროს ის ოპოზიციურ განწყობებს ინარჩუნებს. სავარაუდოა, დაიწყოს იმათთან დაკავშირება, ვინც „ნაციონალურ მოძრაობას“ არ ეკუთვნის, მაგრამ ოპოზიციაშია. ამ მიმართულებით მისი მხრიდან ეს ნაბიჯები ლოგიკურია. ამავდროულად, კეზერაშვილის მოქმედებები ცოტა არალოგიკურიც არის, რადგან ოპოზიციაში გამარჯვების ყველაზე მეტი შესაძლებლობა „ნაცმოძრაობას“ აქვს და ამ დროს იწყებს ისეთ ფიგურებთან ურთიერთობას, რომელთა გამარჯვების შანსი მინიმალურია.

— კეზერაშვილი საქართველოში ამ ეტაპზე ვერ დაბრუნდება, რადგან მასზე ძებნაა გამოცხადებული. რატომ ცდილობს ის აქ ფესვების გაღრმავებას და რაში სჭირდება ამ პოლიტკური ოპოზიციის ფრთის დაფინანსება?

— ზუსტად ეს არ მესმის. ისეთ ჯგუფებს საკმაოდ გულუხვად აფინანსებს, რომლებიც ვერ გაიმარჯვებენ, ამიტომ ვერც მას გამოადგებიან. თუ არჩევნებში გაიმარჯვებენ, მაშინ მისთვის ხელსაყრელი იქნება, მაგრამ ამ ჯგუფებში გამარჯვების შესაძლებლობა არ ჩანს. ამიტომ, რატომ იხარჯება კეზერაშვილი, გაუგებარია. ისე, ეჭვი მეპარება, რომ მას საქართველოს საზღვრის გადმოლახვა უნდოდეს. შეიძლება უნდოდეს ქვეყანაში დესტაბილიზაცია. კრიტიკული მომენტი არჩევნები იქნება. არჩევნებამდე კი დიდი დროა, თუმცა ფაქტია, დიდი ხნით ადრე ეს რყევები საჭიროა.

— ის, რომ კეზერაშვილმა „ნაციონალურ მოძრაობის“ დაფინანსება შეწყვიტა, მელია ამან გააღიზიანა, რის გამოც ის ოლიგარქად მოიხსენია?

— არა მგონია, მარტო ამიტომ, თუმცა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი მიზეზი იყო. „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელსაც ფინანსები შეწყვეტილი აქვს, გაცილიებით სუსტად გამოიყურება, ვიდრე მაშინ, როდესაც კეზერაშვილი ეხმარებოდა. დღეს, დეოლიგარქიზაციის საკითხი აქტუალურია და ამ დროს მელიამ ოლიგარქად მარტო ბიძინა კი არ დაასახელა, არამედ ივარაუდა, რომ შეიძლება კეზერაშვილიც ამ სიაში აღმოჩნდეს. ამით მელია კეზერაშვილს ემუქრება, რომ მას ოლიგარქის იარლიყს მიაკრავენ. ამ პირობებში, როდესაც დასავლეთი საქართველოში ოლიგარქებს ეძებს, მელიას ეს განცხადება მუქარასავით ჟღერს.

— ვის გაიყოლებს მელია?

— მელია აქცენტებს მის მიყვანილ ახალ სახეებზე გააკეთებს.

ესაუბრა
ქეთი გიორგაძე

ქრექილი არეულობის და ქაოსის პირას...

რუსეთი თუ დაიშალა, კავკასიაში შიდა ომები დაიწყება!

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი გასაჭირშია — შესაძლოა ქვეყნის შიგნით პროცესები უმართავი გახდეს. მას შემდეგ, რაც 21 სექტემბერს რუსეთის პრეზიდენტმა ქვეყანაში ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა, ქვეყნის ქალაქები და ადმინისტრაციული ოლქები საპროტესტო აქციებმა და ქაოსმა მოიცვა. მოსახლეობის ნაწილი პუტინის მიერ გამოცხადებულ სამხედრო მობილიზაციას ამ ფორმით ეწინააღმდეგება. ოფიციალური ინფორმაციით, ქვეყანა უკვე ორ მილიონზე მეტმა მამაკაცმა დატოვა.

ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა დაღესტანში. „არა ომს და მობილიზაციას!“ — ამ ლოზუნგებით დედაქალაქის ქუჩებში ასეულობით ადგილობრივი გამოვიდა. მოქალაქეებმა ცენტრალური ავტომაგისტრალი გადაკეტეს სოფელ ენდირეიში. პროტესტი უსაფრთხოების ძალებთან დაპირისპირებაში გადაიზარდა. გავრცელებული ინფორმაციით, პოლიციის თანამშრომლები აქციის მონაწილეების წინააღმდეგ ელექტროშოკებს, ხელკეტებსა და წიწაკის სპრეის იყენებენ. დაკავებულია 100-ზე მეტი ადამიანი.

ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ ვითარება ჩრდილოეთ კავკასიაში უმართავი გახდეს. მათი თქმით, კავკასიელები ყველაზე კარგად ხვდებიან, რომ მობილიზაციის პირობებში, პუტინი პირველი მათ არ დაინდობს და უსასამართლობის განცდა აქვთ. მათი შეკავება რუსეთს ისედაც უჭირს, ახლა კი საბაბი აქვთ იმისთვის, რომ რუსეთის ხელისუფლებას აუმხედრდნენ. ისინი მიიჩნევენ, რომ პუტინი ჩრდილოეთ კავკასიაში ცეცხლს ეთამაშება და არ არის გამორიცხული, ადგილობრივი მოსახლეობა ხელისუფლებას იარაღით შემოუტრიალდეს, რაც საქართველოსთვისაც გარკვეულ რისკებს ქმნის. მედიაში გავრცელებული ცნობებით, ენდირეიში მობილიზაციის ფარგლებში გამოიძახეს 110 ადამიანი, მათ შორის ისინი, ვინც ახლახან დაბრუნდა არმიიდან.

რუსეთში მობილიზაცია 21 სექტემბერს გამოცხადდა, ხელისუფლებამ წარადგინა გეგმა, არმიას დაემატოს 300 ათასი რეზერვისტი, რომლებსაც გავლილი აქვთ სამხედრო სამსახური და აქვთ საომარ მოქმედებებში მონაწილეობის გამოცდილება. თუმცა ვრცელდება ცნობები, რომ უწყებები მისდით იმ მოქალაქეებსაც, რომლებიც ამ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებენ.

დაღესტნიდან იუწყებიან, რომ სამობილიზაციო პუნქტებში იბარებენ მრავალშვილიან მამებს, რომლებსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, საომარი გამოცდილების არმქონე კაცებს და რიგითებს, რომელთა ასაკი აჭარბებს 35 წელს.

საპროტესტო გამოსვლები მოეწყო ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქ ნალჩიკშიც. ფედერაციის რამდენიმე ოლქში ადგილობრივებმა სამხედრო გაწვევის ოფისებს მოლოტოვის კოქტეილები ესროლეს. მობილიზაციას დაქვემდებარებულ რუსეთის მოქალაქეებს ამიერიდან საზღვრის გადასაკვეთად დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა მოუწევთ. ინფორმაცია, რომ რუსეთის ხელისუფლება გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებს მალე ქვეყნიდან გასვლას აუკრძალავს, მედიაში რამდენიმე დღის წინ გაჩნდა. დამოუკიდებელი მედიასაშუალებები საზღვრის ჩაკეტვის სავარაუდო თარიღებსაც ასახელებენ. შესაძლოა პუტინმა ეს გადაწყვეტილება ამ დღეებში მიიღოს.

იხ. 5 გვ.



ჩვენმა გაზეთმა 25 წლის წინ, 1997 წლის 8 აგვისტოს ქვეყანას ამცნო ახალი ენერგეტიკული ორგანოს – საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) დაბადება.

რა გაკეთდა, რა შეიცვალა და რა გამოწვევებია ამ მნიშვნელოვანი დარგის წინაშე? – ამის შესახებ მოგვითხრობს სემეკის პირველი შემადგენლობის ერთ-ერთი წევრი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დემურ ჩომახიძე.

არის ენერგია – არის სიცოცხლე!..

ეკონომიკაც გეგმაზომიერად ვითარდება!

წარმატებით განვლილი მეოთხედი საუკუნე სემეკი იუბილარია

საქართველოში ენერგეტიკის ეკონომიკურ გარდაქმნებს საფუძველი დაუდო დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შექმნამ. ამ მხრივ, 2022 წელი სემეკისთვის საიუბილეოა. კომისია ელექტროენერგეტიკას 1997 წლიდან არეგულირებს, ხოლო 1999 წლიდან მოყოლებული, მას დამატებით ბუნებრივი გაზის სექტორის მარეგულირებლის ფუნქცია მიენიჭა, 2007 წელს, კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად კი, იგი უკვე წყალმომარაგების მარეგულირებლის მოვალეობასაც ასრულებს.

პრეზიდენტის ბრძანებულებით, კომისია, 1996 წლის აგვის ტოში, ჯერ ეკონომიკის სამინისტროსთან ჩამოყალიბდა და მას ელექტროენერგიის საბითუმო და საცალო ტარიფების გაანგარიშება დაევალა. ამ სამინისტროსთან კომისია ერთი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა.

საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 27 ივნისს მიიღო კანონი „ელექტროენერგეტიკის შესახებ“, რომელიც 1-ელ აგვისტოს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. საქართველოს პირველმა გაზეთმა ქვეყანას ამცნო ახალი, პროგრესული ენერგეტიკული ორგანოს შექმნა. კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და იმ წლიდან კომისია ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი ორგანო. 1997 წლის 8 აგვისტოს, პრეზიდენტის განკარგულებით, კომისიის პირველი შემადგენლობის წევრები დაინიშნენ.

სემეკის შექმნა დარგის განსაკუთრებულებამ განაპირობა. ენერგეტიკა ნებისმიერი ქვეყნის განვითარების ფუძეთა-ფუძეს წარმოადგენს.მისი ჯეროვანი განვითარების გარეშე საფრთხე შეექმნება არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, არამედ სახელმწიფოებრიობასაც. ეს ნათლად დაადასტურა რუსეთ-უკრაინის ომმა, რომელმაც მთელ მსოფლიოში მყისვე, ჯაჭვური რეაქციით გამოიწვია საყოველთაო ეკონომიკური და ენერგეტიკული ომებიც. მას მყისიერი და უზარმაზარი გავლენა აქვს ეკონომიკის უკლებლივ ყველა დარგზე და ყველა სახის პროდუქციაზე, მათ შორის სამომხმარებლო ბაზარზე.

მადლობა ღმერთს, რომ ახლა საქართველოში ენერგეტიკა იმ დონეზეა, რომ ნებისმიერ მოძალადეს შეესაძლებლობა აძვს ისარგებლოს ელეძტროენერგიის მრავალმხრივი სიკეთით. ახლა ერთ სულ მოსახლეზე ჩვენთან დაახლოებით 3,5 ათასი კვტ.სთ ელეძტროენერგია მოიხმარება და ეს დონე თანდათან უმჯობესდება. ეს მაშინ, როცა დედამიწაზე მილიონობით ადამიანი ცხოვრობს, რომლებიც ჯერ კიდევ მიკლებულია ამ სიკეთეს.

ენერგეტიკა, როგორც ბუნებრივი მონოპოლიის დარგი, წარმოადგენს საზოგადოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქციისა და მომსახურების მიმწოდებლებს და სწორედ მათ გამართულ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული მოსახლეობის ცხოვრების დონე, ჯანმრთელობა, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული დარგების ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა, ანუ ბუნებრივი მონოპოლიების მიერ წარმოებული პროდუქციის და მომსახურების საბოლოო მომხმარებლებამდე მაღალხარისხიანი მიწოდების უზრუნველყოფა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბუნებრივი მონოპოლიების არსებობა ეკონომიკაში ობიექტური აუცილებლობაა, უნდა დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს მხრიდან აზრი არ აქვს მათ წინააღმდეგ განსაკუთრებული შეზღუდვების გამოყენებას. აქ ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა ორივე მხარის ინტერესების დაბალანსების მიღწევა; ანუ სახელმწიფომ, ერთი მხრივ, უნდა დაიცვას მომხმარებელი ბუნებრივი მონოპოლიების მხრიდან არასწორი ქმედებებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს ბუნებრივი მონოპოლიების დარგების განვითარებას საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ.

საუკუნეზე მეტი ხნის პრაქტიკულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ საუკეთესო შედეგის მიღწევა, ანუ ბუნებრივი მონოპოლიების მიერ წარმოებული პროდუქციითა და მომსახურებით მომხმარებელთა მოთხოვნილების ყველაზე ეფექტიანი დაკმაყოფილება კონკურენციული და მონოპოლიური გარემოს გონივრული შეხამებით მიიღწევა; ასეთი შეხამება კი სახელმწიფოს მხრივ აქტიური ჩარევის, ანუ რეგულირების გარეშე შეუძლებელია. სახელმწიფო ენერგეტიკას, როგორც ეკონომიკის სპეციფიკურ დარგს, მარეგულირებელი კომისიების მეშვეობით მართავს. ამას კი შესაბამისი კანონმდებლობით ახორციელებს.

კანონმდებლობაში მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციები შეიძლება სხვადასხვა ქვეყანაში მეტ-ნაკლებად პრიორიტეტულად იყოს მიჩნეული ენერგეტიკული სისტემის რეფორმის მიმდინარეობის სტადიების შესაბამისად. ეს ფუნქციებია: ენერგეტიკულ ბაზარზე მოქმედი სუბიექტებისათვის მოქმედების სამართლიანი და თანაბარი პირობების უზრუნველყოფა;

მომხმარებლების ინტერესების დაცვა;

ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის წარმოებისა და განაწილების სფეროში კონკრეტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

სახელმწიფოს სტრატეგიის შესაბამისად ენერგეტიკული სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

განახლებადი და ალტერნატიული სახის ენერგიის გამოყენების გაფართოების ხელშეწყობა;

სახელმწიფოს სტრატეგიის შესაბამისად ენერგეტიკული სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

განახლებადი და ალტერნატიული სახის ენერგიის გამოყენების გაფართოების ხელშეწყობა;

ენერგიის წარმოების, გადაცემისა და განაწილებისას გარემოს ეკოლოგიური დაბინძურებისა და დაზიანებისგან დაცვა;

მარეგულირებელი ორგანო საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებისათვის უნდა მოქმედებდეს გარკვეული პრინციპების შესაბამისად. ეს პრინციპებია:

დამოუკიდებლობა;

კონსულტაციები ენერგიის მიმწოდებლებთან და მომხმარებლებთან; – პრობლემების გადაწყვეტის თანმიმდევრულობა;

სიტუაციის (ვითარების) პროგნოზირებადობა;

კომუნიკაბელობა;

კომპეტენტურობა;

თვითშეფასების უნარი;

გამჭირვალობა (საჯაროობა);

ელასტიურობა.

ყველა ზემოაღნიშნული პრინციპი განხილულ უნდა იქნეს როგორც მოქმედებისა და ქცევის წესების ერთობლიობა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მარეგულირებელი ორგანოს მთავარი მიზნის – საზოგადოების მოთხოვნათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. კანონმა ელექტროენერგეტიკის შესახებ“ სემეკს თავიდანვე მიანიჭა მაღალი დამოუკიდებლობა. კერძოდ, კომისია გახდა მუდმივმოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში არ ექვემდებარებოდა არც ერთ სხვა სახელმწიფო უწყებასა და ორგანიზაციას.

სემეკის ფუნქციონირების პირველივე წლებში შედეგები იყო ხელშესახები: 1. დაწესდა გამოკვეთილი და სამართლიანი „თამაშის“ წესები სექტორში შემავალი ყველა სუბიექტისათვის; 2. სტიმული მიეცა დარგში კერძო ინვესტიციების განხორციელებას, ჩატარდა უმრავლეს საწარმოთა პრივატიზაცია; 3. ერთმანეთისგან გაიმიჯნა სახელმწიფო, სამეურნეო და მარეგულირებელი ფუნქციები. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბების შემდეგ სახელმწიფოს ჩამოსცილდა მარეგულირებლის ფუნქციები, ხოლო კომერციული ფუნქციები უშუალოდ სამეურნეო სუბიექტებს დაეკისრა. სახელმწიფო კი მის მიერ შემუშავებულ სტრატეგიასა და პოლიტიკას ახორციელებს; 4. გაცილებით უკეთესი შესაძლებლობები შეიქმნა სექტორში არსებული პრობლემების გამოვლენისა და გადაჭრისთვის, საფუძველი ჩაეყარა დარგის თვითდაფინანსებას. ლიცენზიატებს საშუალება მიეცათ, სრულად გამოავლინონ მათ წინაშე არსებული პრობლემები და სათანადო შემთხვევაში მიაღწიონ კიდეც მათ ასახვას ტარიფში; 5. განისაზღვრა ლიცენზიატთა უფლებები და ვალდებულებები, პროდუქციის (მომსახურების) აღრიცხვის, მიწოდების, შეწყვეტის და აღდგენის წესები და პროცედურები, ბუნებრივი მონოპოლიის პირობებში მყოფი ლიცენზიატების ურთიერთობათა სავალდებულო ქცევის წესები. კარგი პირობები შეიქმნა კონკურენციის განვითარებისათვის; 6. შეიქმნა ურთიერთსაყრელი თანამშრომლობის საფუძვლები მომხმარებლებსა და გამანაწილებელ კომპანიებს შორის, ამაღლდა მომსახურების ხარისხი; 7. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა კომისიის საკანონმდებლო-ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფის, აგრეთვე საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განმტკიცების მიზნით;ამაღლდა და სრულყოფილი გახდა ლიცენზიატთა მომსახურების საფასურის ამოღების მაჩვენებელი, რომელიც პირველ წლებში მეტად დაბალი იყო; 9. ახლანდელ ეტაპზე ყველა კანონიერი ღონისძიება ხორციელდებოდა ტარიფების ზრდის შეჩერებისა და სტაბილიზაციისათვის. ამ მიზნით სტიმული მიეცა ადგილობრივი რესურსების ათვისებასა და რაციონალურ გამოყენებას, ენერგიაშემცველების მოწოდების დივერსიფიკაციას; 10. დარგი თავისუფალი გახდა პოლიტიკური ჩარევისგან. ასეთი ზეწოლისაგან უკეთ დაზღვეული გახდა ტარიფები, აგრეთვე აქ განხორციელებული სხვა ხასიათის რეგულირება და სხვ.

სემეკი უკვე 25 წლის გახდა. განვლილ პერიოდში სემეკს 5 თავჯდომარე ჰყავდა – ელიზბარ ერისთავი, **დავით მირცხულავა, გ. თავაძე, გ. ჩალაგაშვილი, ირ. მილორავა,** რომლებიც წამყვან ენერგეტიკულ ორგანიზაციებში და უწყებებში მოღვაწეობდნენ.

ახლანდელი მე-6 თავჯდომარე **დავით ნარმანია** მდიდარი გამოცდილებით მოვიდა დედაქალაქის მერობიდან და აკადემიური წრიდან.

25 წლის განმავლობაში კომისიას ყავდა 12 წევრი. კომისია დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, რომელთაც სულ უფრო მეტი სამუშაოს შესრულება უხდებათ.

საკმარისია ითქვას, რომ ახლა, ერთ წელიწადში მიღებულია 70,7-ჯერ მეტი სამართლებრივი აქტი, მათ შორის, 21,5-ჯერ

მეტი დადგენილება და 90,4-ჯერ მეტი გადაწყვეტილება. გამოდის, რომ ახლა კომისია 3,5 სამუშაო დღეში იღებს იმდენ დადგენილებასა და გადაწყვეტილებას, რაც ეს ხდებოდა 1997 წლის მთელი პერიოდის განმავლობაში. მუშაობის განვლილ პერიოდში კომისიის მიერ დაინერგა გამოკვეთილი და სამართლიანი „თამაშის წესები“ სექტორში შემავალი ყველა სუბიექტისათვის, სტიმული მიეცა დარგში კერძო ინვესტიციების განხორციელებას, კონკურენციის განვითარებას და ადგილობრივი რესურსების ათვისებას. ერთმანეთისგან გაიმიჯნა სახელმწიფო, სამეურნეო და მარეგულირებელი ფუნქციები, შეიქმნა ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრირების ხელსაყრელი პირობები და ა. შ.

განვლილი 25 წლის მანძილზე: მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა კომისიის საკანონმდებლო-ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფის, აგრეთვე საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განმტკიცების თვალსაზრისით; ამაღლდა და სრულყოფილი გახდა ლიცენზიატთა მომსახურების საფასურის ამოღების მაჩვენებელი, რომელიც პირველ წლებში მეტად დაბალი იყო; ყველა კანონიერი ღონისძიება ხორციელდებოდა ტარიფების ზრდის შეჩერებისა და სტაბილიზაციისათვის. ამ მიზნით სტიმული მიეცა ადგილობრივი რესურსების ათვისებასა და რაციონალურ გამოყენებას, ენერგიაშემცველების მოწოდების დივერსიფიკაციას; დარგი თავისუფალია პოლიტიკური ჩარევისგან. ასეთი ზეწოლისგან უკეთ დაზღვეული გახდა ტარიფები, აგრეთვე აქ განხორციელებული სხვა ხასიათის რეგულირება და სხვ.

შეიქმნა ქვეყნის ეკონომიკის საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრირების ხელსაყრელი პირობები. კომისიის მიერ მიღებული ერთ-ერთი მთავარი პირობა გახდა ქვეყანაში საერთაშორისო სააგენტოებისა და ინვესტორების მოზიდვისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრებისა და მათთან თანამშრომლობისათვის, მაგ., USAID-ისა და კომისიის პარტნიორული ურთიერთობა დაიწყო კომისიის შექმნის დღიდან. სააგენტო კომისიას უწევს ტექნიკურ, მატერიალურ, ფინანსურ და საგანმანათლებლო დახმარებას; კომისიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფის გაუმჯობესებაში, ელექტრიფიკაციის, გაზიფიკაციისა და წყალმომარაგების ამაღლებაში.

რადიკალურად ამაღლდა მომსახურების ხარისხი. ახლა, ერთ მომხმარებელზე, გაანგარიშებით, ელექტროენერგიის გამორთვების საშუალო ხანგრძლივობა 28,1%-ით, ხოლო ელექტროენერგიის გამორთვის საშუალო სიხშირე 21%-ით გაუმჯობესდა და ბევრი სხვა, მათ შორის ისეთებიც, რომელთა მიღწევა ნათლად არც იყო წარმოდგენილი კომისიის შექმნის მაშინდელი ორგანიზატორებისგანაც კი.

კომისის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდია აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) როლი. შედეგად კომისია სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით საერთაშორისო დონეზე, ხოლო მისი წარმომადგენლები წარმატებით მონაწილეობენ ენერგეტიკის რეგულირების მართვის საერთაშორისო ორგანიზაციებში. კომისია ერთ-ერთი დამფუძნებელია (2000 წელი) ენერგეტიკის რეგულირების რეგიონული ასოციაციისა (ერრ-ა), სადაც ამჟამად გაერთიანებულია 48 ქვეყანა. ამ ორგანიზაციის პრეზიდიუმის წევრები თავის დროზე იყვნენ ელ.ერისთავი (2000-2003წწ), გ.ჭონია (2015-2017წწ), მ.მელიძიძე (2018-2019წწ). ეს უკანასკნელი 2020 წლიდან „ერრას“ თავჯდომარეა, რომელიც ახლა უკვე მეორედ აირჩიეს ამ თანამდებობაზე. 2017 წელს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების რატიფიცირება, რომლის შედეგადაც საქართველო გახდა ენერგეტიკული თანამეგობრობის წევრი სახელმწიფო. ამ თანამეგობრობის მარეგულირებელი საბჭოს პრეზიდენტი იყო 2017-2019 წწ-ში გ.ფანგანი. კომისიაში 2020 წელს წარმატებით დაინერგა საერთაშორისო სტანდარტი ISO: AID-ხარისხის მენეჯმენტის სისტემა.

კომისიასთან არსებობს მომხამარებელთა უფლებების დაცვის დამოუკიდებელი სამსახური, აგრეთვე ელ.ერისთავის სახელობის სასწავლო ცენტრი.

თვალში საცემია სემეკის კიდევ ერთი სიკეთე. გამოკვლევამ აჩვენა,რომ რეგულირებად ენერგეტიკულ პროდუქციაზე ფასები გაცილებით დაბალია, ვიდრე არარეგულირებად (თავისუფალ) ენერგოპროდუქციაზე. კერძოდ, პირობით თბოუნარიანობაზე გადაანგარიშებით, ენერგიაშემცველის ფიზიკური ერთეულის ფასმა ბუნებრივ გაზთან შედარებით შეადგინა: ბენზინზე 3.39-ჯერ, ნავთზე 3.23-ჯერ, დიზელის საწვავზე 3-ჯერ, თხევად გაზზე 3.69-ჯერ მეტი, ხოლო ელექტროენერგიის ფასი (ტარიფი) აღმოჩნდა მხოლოდ 2.41-ჯერ მეტი,ანუ ბუნებრივ გაზთან ყველა ჩამოთვლილი სახის ენერგიაშემცველზე არარეგულირებად (თავისუფალ) ფასებზე ნაკლები. დიდი ალბათობით სავსებით შესაძლებელია რომ სურათი საპირისპირო ყოფილიყო.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჩვენთან საზოგადოების გარკვეული ნაწილი საეჭვოდ მიიჩნევს სემეკის ფუნქციონირებას. მათი აზრით, საქართველოში ტარიფები მეტისმეტად იზრდება მაშინ როცა გვპირდებოდნენ მის შემცირებას! ხოლო კომისიაში ხელფასები ძალიან დიდია.

გამოკვლევა კი გვიჩვენებს, რომ ბრალდება ერთობ გაზვიადებულია. მსოფლიოს ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესები გვარწმუნებს, რომ ყველასათვის მისაბაძ ქვეყნებშიც ტარიფები საქართველოსთან შედარებით გაცილებით მაღალია და იზრდება განუწყვეტლივ. ამის მიზეზია დარგის თავისებურებები, პირველ რიგში ის ფაქტი, რომ დარგი საჭიროებს უწყვეტ დაფინანსებას. ხოლო ენერგორესურსების მოპოვება სულ უფრო რთულ პირობებში ხდება. ამასთან, სულ უფრო მკაცრდება ეკოლოგიური მოთხოვნები. ამრიგად, საჭირო ხდება სულ უფრო მეტი ინვესტიცია, რომელიც ტარიფის განსაზღვრის მთავარი კომპონენტია. შედეგად ტარიფის ზრდა დამახასიათებელია არამარტო ენერგორესურსებით ნაკლებად უზრუნველყოფილი, არამედ მდიდარი ქვეყნებისთვისაც. ზემოთ აღნიშნული პროცესებისთვის დაპირისპირება შეუძლია მხოლოდ მეცნიერულ-ტექნოლოგიურ და მენეჯერულ პროგრესს. სხვა თანაბარ პირობებში ტარიფი შემცირდება იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელის დანერგვის ტემპი გაუსწრებს ინვესტიციების ზრდის ტემპს. ეს აზრი პრაქტიკულად დადასტურდა კიდეც ზოგიერთი ქვეყნის (მაგალითად ბალტიისპირეთისა და სკანდინავიის) მაგალითზე.

საქართველო, მოგეხსენებათ, ზოგადად ენერგეტიკული რესურსებით მდიდარი არ არის, მაგრამ გამორჩეულად მდიდარია განახლებადი ენერგორესურსებით. ჩვენი ქვეყანა გამორჩეულია აგრეთვე კადრების მაღალი პროფესიონალური და ინტელექტუალური დონით. ჩვენი აზრით, სწორედ ეს ფაქტორები ედო საფუძვლად ტარიფების შემცირების ადრე გაცხადებულ პროგნოზს. იგულისხმებოდა რომ, ასეთ პრობლემურ საკითხებში საზოგადოება ერთად უნდა იდგეს. მარადისობის კანონია „ძალა ერთობაშია“. ხდება კი პირიქით. სწორედ ოპონენტების მიერ პროვოცირებულმა შიდა პოლიტიკურმა დაპირისპირებებმა მის შესრულებას ნამდვილად შეუშალა ხელი, განსაკუთრებით ჰიდრორესურესების ათვისების საქმეში.

რაც შეეხება კომისიაში არსებულ ხელფასებს, აქაც ბრალდება გაზვიადებულია, მათ შორის საშუალო დარგობრივთან შედარებით. მეორეც, მარეგულირებლებისადმი პრიორიტეტული დამოკიდებულება, ისე როგორც ყველა ქვეყანაში, საქართველოს პარლამენტმა ამ სფეროში მიღებულ პირველივე კანონებში გამოხატა. ეს მნიშვნელოვნად განაპირობა დარგში მაშინ არსებულმა კორუფციის მაღალმა დონემ, რომელიც განვლილი 25 წლის განმავლობაში სწორედ მარეგულირებლის წყალობით აღმოიფხვრა. ხელფასისა და პრემიის ოდენობა, რომელსაც ოპონენტები ასახელებენ, მიზერულია დარგში კორუფციის გამო მაშინ დაკარგულ თანხებთან შედარებით. აქვე თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სემეკ-ი მოსახლეობას ყოველწლიურად დაახლოებით 3 მილიონ ლარს უკან უბრუნებს უკანონოდ დარიცხული თანხის სანაცვლოდ, საკითხი კიდევ უფრო ნათელი გახდება.

სემეკ-ს წინ ბევრი სამუშაო აქვს საქართველოში დარგის რეგულირების ინსტიტუციური შესაძლებლობის გაძლიერებისათვის „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის და საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, ახალი ტექნოლოგიებით კომპლექსური ენერგეტიკული სისტემის მართვის ეფექტურობის ზრდისათვის და სხვა.

ვუსურვოთ, რომ მომავალი იუბილეებიც უფრო წარმატებული ყოფილიყოს.

დემურ ჩოგახიძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რუსეთი თუ დაიშალა, კავკასიაში შიდა ომები დაიწყება!

(მესამე გვერდიდან)

რუსეთში, ირკუტსკის ოლქში 25 წლის წვევამდელმა გაწვევის კომისარს ესროლა, რომელიც დაიჭრა. ინფორმაცია და მომხდარის ამსახველი ვიდეოები რუსული ტელეგრამ-არხებით გავრცელდა. შემთხვევა გაწვევის პუნქტში მოხდა.

თავდამსხმელი მალევე დააკავეს, ის რუსლან ზინინია. როგორც BA&A წერს, გასროლამდე წვევამდელმა დაიძახა „ახლა ყველანი სახლში წავალთ“, შემდეგ კი კომისრის, ალექსანდრ ელისეევის მისამართით გაისროლა.

* * *

კონფლიქტოლოგი **მამუკა არეშიძე** ამბობს, რომ ვლადიმერ პუტინისთვის შესაძლოა ჩრდილოეთ კავკასია განსაკუთრებული პრობლემა გახდეს. არეშიძე მიიჩნევს, რომ მობილიზაციის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში მე-7 მუხლი გასაიდუმლოებულია, სადაც წერია, რომ ბევრად მეტი ადამიანის მობილიზაცია უნდა მოხდეს, ვიდრე ეს თავდაცვის მინისტრის **შოიგუს** მიერ იქნა დასახელებული. ამიტომაც პროტესტი გარდაუვალი იყო და შესაძლოა რუსეთში, განსაკუთრებით კავკასიაში სიტუაცია უმართავი გახდეს.

„ამ დოკუმენტამდე ბოლო 3 კვირის განმავლობაში, რეგიონების ხელმძღვანელებმა მიიღეს განკარგულება, რომ შეედგინათ ადგილობრივი მოხალისეების ბატალიონები. ყველა რეგიონმა შექმნა ასეთი ბატალიონი და მათ შორის არის 22 წარმონაქმნი, რესპუბლიკა თუ ოლქი. ამ მიმართულებით განსაკუთრებით თავი ჩრდილო ოსეთის ხელმძღვანელობამ გამოიჩინა. ჩეჩნებზე ლაპარაკი აღარ მაქვს, რადგან იქ საერთოდ სხვა მდგომარეობაა. ეს ბატალიონები ექსტრემალურ სიტუაციაში შესაძლოა სანდოები საერთოდ არ იყვნენ. რუსებს აქვთ მწარე გამოცდილება, როცა ასეთმა ნაციონალურმა შენაერთებმა ეს იარაღი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოიყენეს. თუ კრიტიკული ვითარება შეიქმნა, რუსეთს შესაძლოა სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიაში აუფეთქდეს. ამიტომ პუტინი ამ ბატალიონების შექმნით, პირდაპირ ცეცხლს ეთამაშება. ეტყობა, კრემლში მიხვდნენ, რომ ერთი ეთნიკური ბატალიონის დაშვება არ შეიძლებოდა. ბურიატები უკრაინაში პირველი დამრტყმელი ძალა იყო, მაგრამ ახლა უკვე მასობრივად დეზერტირობენ და ყველაფერს აკეთებენ, რომ ამ სამხედრო შენაერთებში არ მოხვდნენ. ასევე ხდება სხვა რესპუბლიკებშიც, მით უმეტეს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკაში. მართალია ამას ჯერ მასობრივი სახე არ აქვს, მაგრამ გამორიცხული არაფერია“, — ამბობს არეშიძე.

მისივე თქმით, ჩრდილოეთ კავკასიაში ასეთი ვითარებაა, თუ ადამაინს სამხედრო სამსახური გავლილი არ აქვს, ვერავითარ კარიერულ ზრდაზე ვერ იოცნებებს. ამიტომ იქაური ახალგაზრდობა მიჩვეულია, რომ სამხედრო სტრუქტურებში იყვნენ დასაქმებულები. ომამდე ჯარში სიხარულით მიდიოდნენ, ახლა კი პროტესტი გაჩნდა.

„რუსეთი დილემის წინაშეა და ფაქტობრივად, რისკავს. ამიტომ გადაწყვიტა, რომ ერთი ეთნიკური წარმომავლობის ბატალიონები არ შეიქმნას. რაც შეეხება პროტესტის განწყობას, ეს აშკარად იგრძნობა და უკვე ამაზე ხმამაღლაც საუბრობენ. იმ მიტინგებზე, რომელიც რუსეთში გაიმართა, ჩრდილოეთ კავკასიური ავტონომიური დედაქალაქები დიდი აქტიურობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ სიტუაცია უკვე მწვავდება. ვნახეთ მოვლენები დაღესტანში როგორც ვითარდება. აქ საკმაოდ სახიფათო მდგომარეობაა, როგორც უკვე აღვნიშნე პუტინი ცეცხლს ეთამაშება“, — ამბობს არეშიძე.

* * *

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** მიიჩნევს, რომ კავკასიელები განსაკუთრებული სიფიცხით და ემოციურობით გამოირჩევიან, ასევე მათ რუსეთის ხელისუფლებასთან მუდმივად პრობლემები აქვთ, რადგან უსამართლობის განცდა აქვთ. ზაქარეიშვილი ამბობს, რომ დაღესტანი ჩეჩნეთისგან განსხვავებით, მრავალეთნიკური ქვეყანაა, სადაც 60-ზე მეტი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს. იქ არის დომინანტი ეთნიკური ჯგუფები და დაჩაგრული ჯგუფები. აქ ხალხი ძირითადად სამხედრო მოსამსახურეები არიან ან პოლიციაში მუშაობენ. ამიტომ ეს ხალხი ძირითადად ამ ჩვეულებრივ მოქალაქეებს ზემოდან უყურებენ და ომში გაწვევაც სწორედ პირველ რიგში მათ მიუვიდათ.

„ამ საერთო რუსული გაწვევის კომპონენტს შიდა დაღესტნური კომპონენტი და დაპირისპირება დაემატა. დომინანტები ცდილობენ, რომ ჩვეულებრივი მოქალაქეები გაიწვიონ. აქ არსებობს ეჭვი, რომ ეს ხუნძები ომში წასვლას თავად არ აპირებენ და ამ კვოტების შევსებას ჩვეულებრივი მოსახლეობისგან აპირებენ. ანუ მათ ხარჯზე სურთ თავი დაიძვრინონ. ხალხში ეს განცდა არსებობს და ამ საერთო რუსულ დანაშაულებრივ ქმედებებს, შიდა დაღესტნური დაპირისპირებაც ემატება.

ამიტომ წყალი უფრო იმღვრევა და დაღესტანში აჯანყების რისკები მეტია, კავკასიაში საკმაოდ ფეთქებადი მდგომარეობაა, ვიდრე სხვა რეგიონებში. ეს პუტინისთვის სერიოზული გამოწვევაა.. ერთი მხრივ უკრაინაში ომის ბედი სულ სხვაგვარად წარიმართება და ვეღარ უმკლავდება სიტუაციას და მეორე მხრივ ქვეყანა შიდა დაპირისპირების და ქაოსის ზღვარზე იმყოფება. ვისაც ომში წასვლა უნდოდა, ფულის გამო ყველა წავიდა. ვისაც არ უნდოდა, ფულის გამოც კი არ წავიდა. ახლა კი მობილიზაციის ფონზე ეს ხალხი არსად არაა წამსვლელი. ამიტომ შიდა აფეთქება გარდაუვალია. რუსების ბუნტი დღეს თუ არა, ხვალ მაინც დაიწყება. ეს ნაწილობირივ მობილიზაციაც ბლეფი აღმოჩნდა, რადგანაც რეალურად ყველას გაწვევას აპირებენ. ეს არის რუსული ფეიკი, რომელსაც ხალხი მიხვდა. განსაკუთრებული საფრთხე კი ჩრდილოკავკასიელებმა იგრძნეს“, — ამბობს ზაქარეიშვილი.

მისივე თქმით, პუტინს უკვე ორი ფრონტი ეხსნება, ერთი ქვეყნის შიგნით და მეორე უკრაინაში. ზაქარეიშვილი ამბობს, რომ ადამიანს, რომელსაც ომში წასვლა არ სურს და ის ძალით მიჰყავთ, შეშინებულია, კაცის მოკვლა არ უნდა, პირველი აკეთებს იმას, რომ საკუთარ მეთაურს კლავს. ამიტომ ანალიტიკოსი არ გამორიცხავს, რომ მსგავსი აფეთქება გახშირდეს და კონფლიქტის ნიადაგზე ფრონტის ხაზზე ან მანამდე, წვევამდელებმა საკუთარი მეთაურებიც კი დახოცონ. ამ ფონზე კი, როგორც ზაქარეიშვილი ამბობს, კავკასიაში დაწყებული დაპირისპირება ჩვენს ქვეყანასაც დიდი რისკის ქვეშ აყენებს. ამ დროს კი ისევ ტიუტჩევი გვახსენდება: **„რუსეთს გონებით ვერ განსჯი“!**

ამიტომაც, რა იქნება ხვალ, არავინ იცის!..

ლიკა ბერიკაშვილი

რუსების ბუნტი დღეს თუ არა, ხვალ მაინც დაიწყება. ეს ნაწილობირივ მობილიზაციაც ბლეფი აღმოჩნდა, რადგანაც რეალურად ყველას გაწვევას აპირებენ. ეს არის რუსული ფეიკი, რომელსაც ხალხი მიხვდა. განსაკუთრებული საფრთხე კი ჩრდილოკავკასიელებმა იგრძნეს

ნატალია სემენასა და ალექსეი პეტროკოვის სახლი შრომაში

SOS!

საქართველოს გაყიდვის თანამედროვე მეთოდები

ვინც ზომაზე არა ყლაპავს, სიმწრით დაახველებს!

რუსის სახლი – როგორ ყიდულობენ რუსეთის მოქალაქეები უძრავ ქონებას საქართველოში?

რუსეთის მოქალაქეები ნატალია სემენა და ალექსეი პეტროკოვი, მშობლებთან და ქალიშვილთან ერთად, მეოთხე თვეა დასავლეთ საქართველოში, სოფელ შრომაში ცხოვრობენ.

სახლი გასული წლის მოლოს იყიდეს. საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლას 2022 წლის ზაფხულში ფიქრობდნენ, თუმცა, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, „ევაკუაციის გეგმა“ აამოქმედეს და აპრილის დასაწყისში ჯერ მშობლები და ქალიშვილი გამოამგზავრეს, მაისის მოლოს კი თავადაც წამოვიდნენ.

50 წლის ნატალია, „ინსტაგრამში“, პერსონალურ ბლოგს აწარმოებს და გამომწერებს თითქმის ყოველდღე უყვება საქართველოში გადმოსვლის, სახლის შეძენის, რემონტისა თუ სხვა საყოფაცხოვრებო საქმიანობის შესახებ – მაგალითად, როგორ ბერტყავენ კაკალს, რომ ძროხისა და ღორის მოვლის თავი არა აქვს, სამაგიეროდ, ფრინველი მოაშენა... იძლევა რეკომენდაციებსაც, როგორ და სად შეიძლება სახლის შეძენა ან ქირაობა ხელსაყრელ ფასად.

ნატალია და ალექსეი ურალში, ქალაქ ეკატერინბურგში ცხოვრობდნენ. საქართველოში პირველად 2021 წლის ივნისში ჩამოვიდნენ. ბათუმში გატარებული ოთხი დღის შემდეგ კი გადაწყვიტეს, რომ ისინი საქართველოში უნდა დასახლებულიყვნენ. როგორც ნატალია ყვება, გადმოსახლების უპირველესი მიზანი ზღვასთან ახლოს, სითბოში ცხოვრება იყო, რასაც მოგვიანებით უკვე უკრაინაში ომიც დაემატა:

ალექსეი ამბობს, რომ საქართველოში არც სახლის ყიდვა გასჭირვებიათ და მეზობლებიც სტუმართმოყვარე შეხვდა:

„კი, არსებობს პატარა წყენაც რუსეთის მიმართ, მაგრამ იცით რა, რუსეთის მოქალაქეები აქ სახლებში 50%-ით მეტს იხდიან. იმ ფასს, რა ფასადაც ეს სახლი ვიყიდეთ, ქართველები ამ სახლში არ გადაიხდიდნენ. გარდა ამისა, გაგვიმართლა და ძალიან კარგი მეზობლები გვყავს. არანაირი კამათი და წყენა არ ყოფილა. პირიქით, ყველანი ვეხმარებით ერთმანეთს. ვსვამთ ღვინოს, ერთმანეთს ვაცნობთ ჩვენს სამზარეულოებს. როდესაც ჩვენი ოჯახი, მშობლები და შვილი გამოვგზავნეთ საქართველოში, აქ ჯერ კიდევ ციოდა. სახლში გათბობა არ იყო. მაგრამ ძალიან დაგვეხმარნენ მეზობლები. მათთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს. საქართველო ძალიან სტუმართმოყვარე ქვეყანაა და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ აქ ჩამოსულებს უკან წასვლა აღარ მოუნდეთ“.

ნატალია სემენა

ნატალია და ალექსეი ახლა ყურადღებით აკვირდებიან საქართველო-რუსეთის საზღვარზე, ზემო ლარსის გამშვებ პუნქტთან შექმნილ სიტუაციას, სადაც 21 სექტემბრიდან, ანუ მას შემდეგ, რაც რუსეთში „ნაწილობრივი მობილიზაცია“ გამოცხადდა, რუსეთის დატოვების მსურველთა მრავალათასიანი და მრავალსაათიანი რიგები გაჩნდა:

„ჩვენ უკვე იმაზე ვნერვიულობთ, რომ ის რუსეთი, რომლიდანაც წამოვედით, ახლა უკან გამოგვეკიდა ამ მობილიზაციის გამო. ადამიანებს, რომლებიც რუსეთში არსებული რეჟიმის წინააღმდეგნი იყვნენ, თავიდანვე უნდა გამოეთქვათ პროტესტი. მათ კი მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტეს რუსეთის დატოვება, რაც მობილიზაცია გამოცხადდა. ეს ნამდვილად არ არის მოსაწონი. ჩვენს მეგობრებს უკვე მოუვიდათ ომში გაწვევის შეტყობინება“.

ნატალია და ალექსეი საქართველოდან წასვლას აღარ გეგმავენ, ამიტომ აქვე უნდა ეძებონ შემოსავლის წყაროც.

რუსეთისა და ბელარუსის რამდენმა მოქალაქემ შეიძინა უძრავი ქონება 2022 წლის პირველ შვიდ თვეში?

საჯარო რეესტრის 2022 წლის პირველი შვიდი თვის მონაცემებით, საქართველოში უძრავი ქონება **რუსეთის 3626-მა მოქალაქემ**, ხოლო **ბელარუსის 264-მა მოქალაქემ** შეიძინა. ამ მონაცემებში არ არის მითითებული, არიან თუ არა მათ შორის მოქალაქეები წარმოშობით საქართველოდან. თუმცა, მითითებულია ის რეგიონები და ქალაქები, სადაც ისინი უძრავ ქონებას ყიდულობენ. ყველაზე მეტად თბილისსა და ბათუმში, მაგრამ რუსეთიდან და ბელარუსიდან ჩამოსულები უძრავ ქონებას არეგისტრირებენ მაგალითად, ახალქალაქში, ბოლნისში, ბორჯომში, დუშეთში, ზუგდიდში, თელავში, ადიგენში, თერჯოლაში, ხონში, ხობში. ანუ, ფაქტობრივად, მთელ საქართველოში.

ალექსეი პეტროკოვი

2022 წლის მაისის მონაცემებით, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ „ბიზნესპრესნიუსს“ მიაწოდა, საქართველოში რეგისტრირებული იყო **20 993 რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა უძრავი ქონება.** მათ შორის **10 411 პირი** რეგისტრირებული იყო ინდივიდუალური საკუთრების საგნის (ბინის, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების) მესაკუთრედ.

საღ და როგორ ეძებენ რუსეთისა და ბელარუსის მოქალაქეები უძრავ ქონებას?

ნინუცა სიყმაშვილი რვა წელია უძრავი ქონების აგენტია. ყოველდღიურად ადევნებს თვალს იმ ტელეგრამარხებს, სადაც რუსეთიდან ჩამოსული მოქალაქეები საქართველოში, მეტწილად თბილისში, ბინების დაქირავებას ან სულაც შეძენას ცდილობენ. ამბობს, რომ რუსეთის მოქალაქეები და უძრავი ქონების აგენტები ძირითადად ტელეგრამ-არხებს იყენებენ.

აი, მაგალითად, ერთ-ერთი რიგითი ტელეგრამ-არხი სხვა ათეულობით არხს შორის, არის **КВАРТИРЫ ТбИЛИСИ.** ანუ, ბინები თბილისში. არხის აღწერაში მითითებულია, რომ ეს სივრცე შექმნილია ხანგრძლივი ვადით საცხოვრებლის მარტივად და უსაფრთხოდ ძებნის მიზნით.

გასაქირავებელი ბინების ფასები შთამბეჭდავია. ლიდერობს საბურთალო და ვაკე, სადაც ფასები 800 დოლარიდან იწყება. ვაკეში 1600 დოლარიან ბინასაც იპოვის მსურველი. უძრავი ქონების აგენტები ცალკე პუნქტად გამოყოფენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ დამქირავებელს შინაური ცხოველის ყოლაც შეუძლია. თითოეულ განცხადებას სულ ცოტა 400-მდე გამოხმაურება აქვს. ზოგიერთი განცხადების გამოხმაურება 1000-საც სცილდება.

ნინუცა სიყმაშვილი გვეუბნება, რომ სწორედ ეს ტელეგრამ-არხები წარმოაჩენს სურათს, თუ რა რაოდენობის რუსეთის მოქალაქეს სურს, მაგალითად, თბილისში ბინის დაქირავება. ნინუცა რუსეთის მოქალაქეებს არ ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ მათი მომსახურების სანაცვლოდ გაცილებით მეტი შემოსავლის მიღებას შეძლებს, ეს მისი პირადი გადაწყვეტილებაა:

ნინუცა სიყმაშვილი გვეუბნება, რომ მისი ინფორმაციით, რუსეთიდან ჩამოსულმა ერთ-ერთმა ოჯახმა საქართველოში უკვე 12 ბინა შეიძინა და უძრავი ქონების, ბინების გაქირავების ბიზნესიც წამოიწყო.

უძრავი ქონება ერთ დღეში

როგორც სხვა ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს, ისე რუსეთისა თუ ბელარუსის მოქალაქეებს, აქვთ სრული უფლება საქართველოში შეიძინონ ბინა. არ არსებობს კანონი, რომელიც მსგავს უფლებას შეუზღუდავს რომელიმე ქვეყნის მოქალაქეს. შეზღუდული მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გაყიდვა-შეძენაა. ეს საკითხი საქართველოს კონსტიტუციითაა დარეგულირებული. კონსტიტუციის მეცხრამეტე მუხლში, რომელიც საკუთრების უფლებას განმარტავს, აღნიშნულია, რომ **„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში და გამონაკლისი შემთხვევები შეიძლება დადგინდეს ორგანული კანონით“.**

მარიამ გაგროშვილი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული დახმარების ცენტრის იურისტი, „რადიო თავისუფლებას“ ეუბნება, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, მათ შორის, რუსეთისა თუ ბელარუსის მოქალაქეებს საქართველოში ბინის შეძენა უმოკლეს პერიოდში, ერთ დღეშიც კი შეუძლიათ:

„ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში. სხვადასხვა ოფიციალური საფასურის გადახდის შემთხვევაში, ვადები განსხვავებულია. შესაძლოა უძრავი ქონება ერთ დღეშიც დარეგისტრირდეს და ეს არანაირ სირთულეს არ უკავშირდება“.

ასე მაგალითად, როგორც იუსტიციის სახლის საიტზე, „ქონების რეგისტრაციის“ ველში ვკითხულობთ, უძრავი ნივთის დარეგისტრირება **4 სამუშაო დღეში მოქალაქეებს 75 ლარი დაუჯდებათ. იმავე დღეს – 300 ლარი.**

ინტერნეტში ბევრია ისეთი ბლოგებიც, რომლებიც რუსულენოვან მოქალაქეებს ნაბიჯ-ნაბიჯ, მარტივად უხსნიან, **„როგორ იყიდონ ბინა საქართველოში ერთ დღეში“.**

რუსი ბლოგერი და უძრავი ქონების აგენტი, ალექსეი ორიშენკო მკითხველებს უყვება, რომ საქართველოში ბინის რეგისტრაცია „20 წუთშია შესაძლებელი“ : **„ბინის გაფორმება კვიპროსზე ერთ თვეს წაგართმევთ, საბერძნეთში – ორ თვეს, ესპანეთში – დაახლოებით ოთხ თვეს“.**

ორიშენკო ბლოგში იმასაც წერს, რომ უკვე 600-ზე მეტ უცხოელ კლიენტს დაეხმარა საქართველოში ბინის შეძენაში.

არასამთავრობო ორგანიზაცია IDFI-ის მონაცემებით, 2022 წლის 25 თებერვლიდან, ანუ უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან 30 ივნისამდე, საქართველოში შემოსული რუსეთის მოქალაქეებიდან, ქვეყანა დატოვებული არ ჰქონდა რუსეთის **42577 მოქალაქეს.**

მათი კვლევით, 2022 წლის მარტი-ივნისის პერიოდში ქვეყანაში შემოსვლის და გასვლის მაჩვენებლებს შორის სხვაობით დგინდება, რომ საქართველოში შემოვიდა **რუსეთის 49 505-ით მეტი მოქალაქე, ვიდრე გავიდა ქვეყნიდან.** ორგანიზაციის მიგნებით, ამ პერიოდში **საქართველოში დარჩა ჯამურად 65 ათასამდე რუსეთის და ბელარუსის მოქალაქე.** ორგანიზაციის განმარტებით, 2019 წლის იგივე პერიოდთან შედარებით, საქართველოში დარჩა **16 476-ით მეტი რუსეთის და 11 531-ით მეტი ბელარუსის მოქალაქე.**

იხ. 8 გვ.

„მამა მომენატრაო“ – ჯანსუღი მამის, ავდით ჩარკვიანის დანატოვარ „სტალინკაში“

როგორ გამზადა ჯანსუღ ჩარკვიანმა „ბიძოს სტიპენდიატი“

ალგათ ყველას გახსოვთ მაგიდის, კალენდარი... სწორედ მის ფურცლებზე ვწერდი ხოლმე ახლობელთა დაბადების დღეებს, განა იმიტომ, რომ მავიწყდებოდა, უბრალოდ მიხაროდა – გადავფურცლავდი და ჩემი საყვარელი ადამიანების სახელსა და გვარს მოვკრავდი თვალს, ვულოცავდი... იყო დრო არ გვეზარებოდა და ხალისიც გვქონდა ერთმანეთთან სტუმრობისა, შესაძლებლობაც და... მოკლედ დროც იყო ისეთი.

30 სექტემბერს ჩემი ჯანსუღის დაბადების დღეა, არამარტო ჯანსუღ ჩარკვიანის, არამედ მისი დაიკოსი, ქალბატონ ლუიზასი, მისი ძმის ბატონ ჯიმი ჩარკვიანის... უფრო მეტიც, ამ შესანიშნავი ადამიანების მშობელი დედის, ქალბატონ პისტის, ქართული მართლმადიდებლური საეკლესიო კალენდრით, ხსენების დღეა, ხსენების დღეა წმინდა მოწამის აღაპისა, რომლის მოსახელე გეგია ქალმა სამივე შვილზე ამშობიარა ქალბატონი პისტი.

საოცრებაა... დიდება უფალს! ამ ფაქტით თავად ჯანსუღიც ამაყობდა – პარტრიარქს მოვუყევი და სწორედ მისგან ვიცი ამ წმინდა მოწამეთა შესახებ.

პატრიარქმა ამ ფაქტს ღვთის სასწაული უწოდა.

მოკლედ, ჯანსუღ ჩარკვიანი, ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო პოეტი, გამორჩეული საზოგადო მოღვაწე და სუპერკოლორიტული პიროვნება, მთაწმინდის უკვდავი ბინადარი 91 წლის გახდებოდა. არ არსებობდა თავის დაბადების დღეზე რედაქციაში არ გვწვეოდა, სადაც ყოველთვის სასურველი და საყვარელი სტუმარი იყო... რაღა სტუმარი – რედაქციის წევრი. ყველა ჩვენგანის წარმატებებით ხარობდა, ჩვენი პრობლემებიც აწუხებდა, იცოდა თქმა – როგორც ჩემი ნოდარი იტყოდა, მაი, აფერი, – დააყოლებდა და დაგვაიმედებდა. პირველად ბავშვობის მეგობარს, კოია გომართელს მოიკითხავდა. მოეფერებოდნენ ერთმანეთს, მერე ყველა თანამშრომლის ოთახის კარს შეაღებდა, მიესალმებოდა, სახელდახელო კაფიას სტყორცნიდა, ბოლოს ისევ კოია გომართელს, ვილენ მარდალეიშვილს, ვალიკო სიმონიშვილსა და მე გაგვიხმობდა

ჯანსუღი მეუღლესთან ირმა ჩხეიძესთან ერთად

– ახლა არ მკითხოთ რამდენის გავხდი, წავიდეთ და თითო ჭიქა დავლიოთ, ერთმანეთს მოვეფეროთო. რედაქციაშიც დატოვებდა სანოვაგესა და სასმელს – შესვენებაზე მადღეგრძელეთო. და კაფე „ჩირაღდნისკენ“, რომელსაც მოფერებით „ვერელების დუქანს“ ეძახდა, გაგვიძღვებოდა.

კარგა ხანს ვუნდებოდით ორფეხისნაბიჯზე მდებარე კაფემდე მისვლას – ყველა ესალმებოდა, ეფერებოდა, შეჩერდებოდა, თბილად მოიკითხავდა. ბევრზე იტყოდა – ჯიგარიაო, ბევრზე – ჩათლახია, მაგრამ ახლა „დამიტკბაო“ და მივაღწევდით ჩვენი „დისლოკაციის“ ადგილს. – თქვენ ღვინო, მამუკას არაყი, მე – ლუდი, დანარჩენი თქვით ახლა რა ავიღოთო და იწყებოდა გახურებული ქეიფი, რომელიც მთავრდებოდა კარგი, ქალაქური ღიღინით. მართლაც საოცარი, შეხმატკბილებული სიმღერა იცოდა კოიამ და ჯანსუღმა, თითქოს თავიანთი დაწერილიაო, ისე შეცვლიდნენ სიტყვებს, ხმასაც საოცრად უთავსებდნენ ვილენის „მაღლაკურ“ ბანს და... ესე გრძელდებოდა წლები.

გმადლობთ ბატონო ჯანსუღ იმ ლამაზი დღეებისთვის.

ჯანსუღის საოცარი იუმორზე საუბარიც ზედმეტია, ბოლო დროს „სიცილნათელები“ – პატარ-პატარა ექსპრომტები მოჰქონდა და გვიტოვებდა მიშასა და ნაცების ჯანსუღისეული „მოფერება“ იყო. მეორე დღეს გაზეთში რომ ნახავდა დაბეჭდილს, დარეკავდა და თითქოს საყვედურით გვეტყოდა – რასაც მოვიტან ყველაფერი კი არ უნდა დაბეჭდოთ, ძმებო!.. და იცინოდა.

უამრავი მოსაგონარი დაგვრჩა, უფრო სწორად დამრჩა, ვილენი მათზე უმცროსი იყო, ყველაზე „მძიმეწონიანი ჟურნალისტი“, როგორც სიყვარულით ჯანსუღმა შეარქვა.

ჯანსუღის ერთ ხუმრობაზე მინდა მოგითხროთ, რომელიც კარგა ხანს ბევრს სიმართლე ეგონა, ზოგი შურით სკდებოდა, ზოგს უხაროდა კიდეც. ყველას მოგეხსენებათ, როგორ ქველმოქმედებასაც სწევდა ბატონი ბიძინა ივანიშვილი – როგორ ეხმარებოდა ხელოვნების მუშაკებს, სპორტსმენებს, მეცნიერებს „სასტიპენდიო“ თანხით და ამ დახმარებას მადლიერები „ბიძოს სტიპენდიას“ ეძახდნენ. მათ რიგში ჩვენი ჯანსუღიც იყო, რომელსაც არასოდეს დაუმალავს რა თანხით ეხმარებოდა დიდი ქველმოქმედი. ზუსტად იმ დღეს გვეწვეოდა, როდესაც „ბიძოს სტიპენდიას“ აიღებდა. კოია გომართელს ჩუმად ჩაუდებდა ჯიბეში ფულს, მერე მომიბრუნდებოდა და ყველას დასანახად ხან ას, ხან ორას, ზოგჯერ სამას ლარს გადმომცემდა ოფიციალურად – ეს იმან გამომატანა შენთანო. უკვირდათ ვინ იყო ის კეთილი „იმან“, რომელიც ყოველ თვე მასაჩუქრებდა იმ დროს სოლიდური თანხით. „საიდუმლოს“ თავად ჯანსუღმა ახადა ფარდა – ბიძინა ივანიშვილი ყველას ეხმარება, ერთხელ მკითხა მამუკას თუ იცნობო, მე ჩემს მამუკაზე მეგონა მეკითხებოდა, არა, ვაშაკიძეზე გეკითხებიო დაუმატა. როგორ არა, ვიცნობ კი არა ჩემი შვილობილია-მეთქი ვუპასუხე, ჰოდა, ჩემო ჯანსუღ, ყველას ვეხმარები და ეს მცირე თანხა მამუკასაც გადაეციო. ის დღე იყო და სულ მე მატანს მამუკასთვის ფულსო.

დაიჯერეს და მეც „ბიძოს სტიპენდიანტად“ ჩამთვალეს. „რამდენი მტერი გაგიჩნდება ახლა ნახეო, – იცინოდა ჯანსუღი – „გაიგებ ვინ არის შენი მოკეთე, და ვინ არაო“. მართლაც ასე მოხდა, ზოგი – ფული მასესხეო, ზოგიც – შენ რა გიჭირს ძმაოო, ზოგიც – რა დამსახურება აქვს ისეთიო? და ერთ დღესაც ვუთხარი ბატონ ჯანსუღს სახალხოდ – უარს ვამბობ ბიძინას სტიპენდიაზე-მეთქი.

ბევრი იცინა, გულიანად, მერე ჩაფიქრდა და სერიოზული სახით მითხრა – საშინელება იცი რა არის, ჩემო მამუკა? უმადურობა არის საშინელება, უმადურობა, უფრო მეტსაც ითხოვენ და არც ფიქრდებიან, ეს კაცი რატომ გვეხმარებაო... ბევრი იმასაც ამბობს, ჩემი ხმა სჭირდებაო, არადა სად იყო მაშინ საქართველოში და პოლიტიკაზეც არც ფიქრობდა ამ ქველმოქმედებას რომ სწევდა... შვილი გადამირჩინა, ბიჭო შვილი!

* * *

ვაგროვებდი, ჩემი ჯანსუღის ხელნაწერებს, სიცილნათელებსა და უბრალო წერილებს, ხელნაწერ ლექსებსა და ხუმრობებს, ჯერჯერობით კიდევ მახსოვს რომელი როდისაა დაწერილი. მეხუმრებოდა, ამით დიდ ფულს იშოვი და „ბიძოს სტიპენდია“ აღარ დაგჭირდებაო.

ყველას რომ მხიარული, უდარდელი და ლაღი ეგონა, ძალზე სევდიანი იყო ჯანსუღ ჩარკვიანი, ახალგაზრდულ ოინებს რომ იხსენებდნენ კოია გომართელს ცრემლები მოადგებოდა თვალებზე – ცრემლიანი კაცი ვარო, იტყოდა. ჰოდა, მაგ ცრემლებში გენაცვალე ჩემო კოიაო, გულს გაუმაგრებდა სიყრმის მეგობარი. საწერ მაგიდაზე ჯანსუღის ნაჩუქარი სურათი მიდევს ძალიან თბილი წარწერით, **„ჩემო მამუკა, მართლაც ძალიან ჯიგარი ხარ! შენი ჯანსუღ ჩარკვიანი. 2007 წ“.**

მწერალთა კავშირის წევრობაზე რეკომენდაცია გამიწია – რეკომენდაცია კი არა ნოველაა, ლექსია, სიყვარულია. გადავაბეჭდინო-მეთქი, ვკითხე სამდივნოში. „ჯანსუღის ხელნაწერია, ასევე დავტოვებთო“ – ზაალ ბოტკოველმა და ბაღათერ არაგულმა. ასლი გავაკეთე და დავტოვე, ორიგინალი წამოვიღე ჯანსუღის სურათთან ერთად, სახლში ჩემს კედელს ამშვენებს.

გილოცავ, ბატონო ჯანსუღ, დაბადების დღეს!

შენი
მამუკა ვაშაკიძე

ვილენ მარდალეიშვილი, ვალიკო სიმონიშვილი, კოია გომართელი, ჯანსუღ ჩარკვიანი და მე კაფე „ჩირაღდანში“.

ВИНЦ ЗОМАЗЕ АРА УЛАПАВС, СИМГРИТ ДААХВЕЛЕБС!

(ДАСАСРУЛИ ГВЕРДИДАН)

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის დადგენილებით, განსაზღვრულია იმ ქვეყნების სია, რომელთა მოქალაქეებსაც საქართველოში უვიზოდ შემოსვლა და სრული 1 წლის ვადით ყოფნა შეუძლიათ.

მათ შორის, არიან რუსეთის მოქალაქეებიც. შესაბამისად, ისინი ერთ თვეზე მეტი ვადით გაჩერებით არანაირ სამართლებრივ ნორმას არ არღვევენ.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტატისტიკის თანახმად, 2022 წლის ივლისში საქართველოში რუსეთის ფედერაციიდან **156 737 ადამიანი შემოვიდა.** მათი მონაცემებით, ეს მაჩვენებელი დაახლოებით სამი ათასით ჩამორჩება პანდემიამდე არსებულ, 2019 წლის მონაცემებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკით კი, ტურისტულ პერიოდში, 2022 წლის აგვისტოში, საქართველოში რუსეთიდან ყაზბეგის გავლით საზღვარი **213 100-მა ადამიანმა გადმოკვეთა** – საშუალოდ, კვირაში **53,3 ათასმა ადამიანმა.** 2019 წელს, ანუ კორონავირუსის პანდემიამდე პერიოდში, სექტემბერში საქართველოში რუსეთიდან ყაზბეგის გავლით საზღვარი **169 915-მა გადმოკვეთა – საშუალოდ კვირაში 42,3 ათასმა ადამიანმა.**

ბოლო დღეებში, ზემო ლარსის გამშვები პუნქტიდან რუსეთის მოქალაქეების მიერ საზღვრის კვეთის მზარდ მაჩვენებელთან დაკავშირებულ კითხვებს 27 სექტემბერს უპასუხა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა. მისი თქმით, "ზემო ლარსიდან" შემომსვლელთა რიცხვი თითქმის გაორმაგდა:



„თითქმის პიკზეა მისული და რიგები დგას ჩვენ მხარესაც. ჩვენ არ გვაქვს 10 და 20-გეითიანი გასასვლელი, ახლაც გვიჭირს გატარება, თუმცა გაძლიერებული გვაქვს დანაყოფები, რომ მაქსიმალურად გავფილტროთ და ვინმე არ შემოგვეპაროს. უსაფრთხოების სამსახურიც გვეხმარება. ამაზე მეტი აღარ მგონია გაიზარდოს, ვეღარ გავატარებთ ფიზიკურად“, – თქვა ვახტანგ გომელაურმა.

27 სექტემბერს აქცია გაიმართა იუსტიციის სახლთან. აქციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს სამი მოთხოვნა ჰქონდათ: დაიკეტოს რუსეთთან საზღვარი, რუსეთის მოქალაქეებს შეუჩერდეთ გინადრობის უფლება და შეეზღუდოთ გიზნესის რეგისტრაცია.

2022 წლის ივლისის მიწურულის მონაცემებით, საქართველოში გინადრობის უფლება მინიჭებული აქვს რუსეთის 16 480 და ბელარუსის – 741 მოქალაქეს.

ნინო თარხნიშვილი,
„რადიო თავისუფლების“ თბილისის ბიუროს ჟურნალისტი

„საჭმელიც არ გვაქვს, შოკში ვართ“!

ოთახი №222 ლარსზე, ლაზარიაზე შეგდებული ბედი და ჩრდილოეთკავკასიელები ქართველების განაჩენის მოლოდინში

თძვენთან მოხვედრა ძვირი ჯდებაო, – თქვა საქართველოში შემოსულმა რუსეთის ერთ-ერთმა მოქალაქემ, რადგან, როგორც არაოფიციალური გზებით გახდა ცნობილი, რიგ შემთხვევებში, რუსი მესაზღვრეები ქვეყნის დატოვების მსურველებს 5 000 დოლარის სანაცვლოდ ატარებენ. თუმცა ეს მძიმე მოლოდინებით სავსე თავგადასავლის დასასრული სულაც არ არის – მათ შემდეგ საქართველოს საზღვრის გადაკვეთა უწევთ და თუ ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრთა ნაამბობით ვიმსჯელებთ, საკუთრივ მათთვის არ არსებობს არანაირი გარანტია, ომში მოხვედრის გარდაუვალ პერსპექტივას გამოქცეულებმა ეს შეძლონ.

ზოგადად, ჩრდილოეთ კავკასიელებისთვის საზღვარზე პრობლემების შექმნის, შემოსულებისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თაობაზე შექმნილ პრობლემებზე, რუსეთისთვის გადაცემის ფაქტებზე „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში დიდი ხანია, საუბრობენ, მაგრამ ეს განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება ახლა, როდესაც ადამიანები გადარჩენას ცდილობენ.

ჩეჩნეთიდან დევნილი ბლოგერი ტუმსო აბდურახმანოვის სოციალურ გვერდებზე ვრცელდება ფოტო და ვიდეომასალა, რომელზეც ჩანს, რომ ლარსის გამშვებ პუნქტზე, სავარაუდოდ, მოსაცდელ ოთახში ათობით ადამიანია თავმოყრილი, რომლებსაც იატაკზე სძინავთ. ერთ-ერთი მათგანი, ახალგაზრდა ქალი ყვება, რომ იმედი ჰქონდათ ბავშვების უსაფრთხო ქვეყანაში გადაყვანას შეძლებდნენ, თუმცა „ოთხი დღეა, საზღვარზე სძინავთ“:

„საჭმელიც არ გვაძვს. შოკში ვართ. ძალები არიან მცირეწლოვანი ბავშვებით. ყირიმელ თათრებსაც არ ატარებენ. ძალიან მძიმე ვითარებაში ვართ“.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩეჩნეთის კრემლის მიერ ხელდასხმული ლიდერის რამზან კადიროვის საჯარო განაცხადი, „რესპუბლიკაში მობილიზაცია არ იქნებაო“, ბლეფი და კეკლუცობა აღმოჩნდა, რადგან შედგენილი სიები უკვე პოლიციის ადგილობრივ განყოფილებებსაა გადაცემული. ხოლო **ირაკლი კუპრაძე** მერვე დღეა, საკუთარი მეგობრების – „ნეიტრალურ ზონაში“ ჩარჩენილი 21 და 29 წლის ორი ჩეჩენი ახალგაზრდის გადარჩენას უშედეგოდ ცდილობს, რომლებიც ომში მოხვედრის პერსპექტივას გამოქცევის გამო ჩეჩნეთის რეჟიმმა მოღალატეებად გამოაცხადა. მათ რიგში სამი დღე დაჰყვეს, გადმოლახეს რუსეთის საზღვარი, საქართველომ კი ქვეყანაში შემოშვებაზე უარი უთხრა.

„ლარსზე არის №222 ოთახი, სადაც სავარაუდოდ, სუს-ის წარმომადგენლები სხედან. რუსები პირდაპირ მესაზღვრესთან მიდიან, საკუთრივ ჩრდილოეთ კავკასიელები კი ამ მითიურ ოთახში, სადაც ატოვებინებენ პასპორტებს და რამდენიმე საათის შემდეგ ეუბნებიან პასუხს. რეალურად ლატარიასავითაა – ერთს უშვებენ, მეორეს არა, სხვაგვარად შეუძლებელია ამ გაუგებარი პრინციპის ამოხსნა. არადა, სამი თვის წინ ეს ბიჭები საქართველოში იყვნენ. თუ მაშინ არ წარმოადგენდნენ საფრთხეს, საფრთხის შემცველები დღეს გახდნენ?!“, – უამბობს **„აქცენტს“** კუპრაძე.

მან საქართველოში შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციით სცადა მეგობრების დახმარება, თუმცა უშედეგოდ:

„ყველა იმედი გადაგვიწურეს, პარალელურად დაგვცინეს,“გაასაჩივრონ შემოსვლაზე უარიო“. ვიკითხე „როგორ“-მეთქი? რუსეთში დაბრუნდნენ, შვეიცარიის საელჩოში მივიდნენ და იქ დატოვონ საჩივარიო. ეს უბრალოდ – სიგიჟეა! უნდა გვესმოდეს, რომ ისინი უკან ვერ დაბრუნდებიან, ეს სრულიად წარმოუდგენელია: წარმოიდგინეთ, როდესაც იქ უკვე მოღალატეებად ჰყავთ შერაცხილი და იძახებენ პოლიციაში, ეს ჩეჩნეთში ადამიანების წამებას, განადგურებას, სიკვდილს ნიშნავს“, – გვიზიარებს ახალგაზრდების დილემას კუპრაძე და ის, ვისაც კადიროვის რეჟიმის პირობებში ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ ვითარებაზე ზოგადი წარმოდგენა მაინც აქვს, მსგავს პერსპექტივასთან დაკავშირებით ეჭვები არ გაუჩნდება.

ადგილზე მძიმე ემოციური ფონი და კვების პრობლემაა:

„რამდენ ხანს გაძლებენ, არ ვიცი. იქ ერთადერთი „დუთი ფრია“ სადაც ორცხობილას, ვისკის და შოკოლადის ყიდვაა შესაძლებელი. შეუძლებელია, რვა დღე მსგავს კვებაზე იყო და კიდევ რამდენ ხანს მოუწევთ გაჩერება, არავინ იცის. ბავშვები, ძალები ყრიან იატაკზე, ვერც წინ მიდიან, ვერც უკან ბრუნდებიან და არიან ასეთ მძიმე მდგომარეობაში“.

დაღესტნელი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც სხვებისგან განსხვავებით გაუმართლა და იმ „მითიური ოთახიდან“ საზღვრის კვეთაზე თანხმობა მიიღო, საზღვარზე არსებულ ვითარებაზე საუბარს თავს გასაგები მიზეზებით არიდებს თავს, თუმცა ყვება მის რესპუბლიკაში შექმნილ დაძაბულ გარემოზე.

სამოქალაქო თანასწორობის ცენტრის EMC-ის დამფუძნებელი **თამთა მიქელაძეც** აღნიშნავს, რომ საზღვრის კვეთის პრაქტიკა საქართველოში მკვეთრად თვითნებურ ფორმას ატარებს:

„არსებობს შსს და სუს მიერ შედგენილი სიები, რომელშიც არავინ იცის რა კრიტერიუმებით, სტანდარტით, პროცედურით ხდება ადამიანის შეყვანა

ერთ კვირაში ევროკავშირის ტერიტორიაზე

66 ათასი რუსი შევიდა

ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტო „ფრონტექსის“ ინფორმაციით, გასულ კვირას, 19 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე პერიოდში, ევროკავშირის ტერიტორიაზე რუსეთის 66 000 მოქალაქე შევიდა, რაც გასულ კვირებთან შედარებით, 30 პროცენტით მეტია.

სააგენტოს ცნობით, რუსების უმეტესობა ევროპაში ფინეთისა და ესტონეთის საზღვრის გავლით შედის.

როგორც სააგენტო წერს, რუსეთის პრეზიდენტის მიერ ქვეყანაში ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ საზღვრის კვეთის ფაქტები საგრძნობლად გაიზარდა ფინეთში. გავრცელებული ინფორმაციით, ბოლო ერთ კვირაში ფინეთში რუსეთის 30 000 მოქალაქე გადავიდა. „ფრონტექსის“ ცნობით, უკრაინაში ომის დაწყებიდან დღემდე, ევროპაში სახმელეთო საზღვრებით რუსეთის 1 303 000 მოქალაქე შევიდა. ამავდროულად, ევროკავშირთან სახმელეთო საზღვრით რუსეთში 1 273 000 მოქალაქე უკან დაბრუნდა.

აშშ მიესალმება რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც პუტინის არაპოპულარული ომისგან თავშესაფარს ითხოვენ!

„ჩვენ მივიჩნევთ, რომ განურჩევლად მათი ეროვნებისა, მათ შეუძლიათ მოითხოვონ თავშესაფარი შეერთებულ შტატებში და მათი განცხადებები განხილული იქნება ცალკეული შემთხვევის საფუძველზე“, — აღნიშნა თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

დღეს აფხაზეთში 80.000-ზე ნაკლები აფხაზი ცხოვრობს, მთლიანობაში კი რესპუბლიკის მოსახლეობა დაახლოებით 240.000 ადამიანს შეადგენს.

რუსული სამობილიზაციო დასამარება 80 000 აფხაზისა!

ყოველთვის ასე არ იყო. კავკასიის ომის შემდეგ აფხაზი ხალხის მასობრივი გადინება გამოწვეული იყო რუსეთის იმპერიული პოლიტიკით. მაშინ აფხაზეთმა მოსახლეობის დიდი ნაწილი დაკარგა, ისტორიკოსების გათვლით — 80-90%. აფხაზებს საკუთარ ქვეყანაში ზღვიდან 20 კმ-ზე ახლოს დასახლებას უკრძალავდნენ, იმპერიული ხელისუფლება კი სამხედრო სამსახურში მათ გაწვევას ეპუებოდა. ბევრი აფხაზი უკვე მაშინ შეიქმნა იძულებული, ქართული გვარი აეღო, რათა რუსეთის იმპერიაში „მეორე ხარისხის ადამიანად“ არ ეგრძნო თავი. ძალიან ბევრს საკუთარი ქვეყნიდან გაქცევაც მოუწია.

აფხაზეთის დამოკიდებულება რუსეთზე, სსრკ-ზე, რუსეთის ფედერაციაზე ასობით წლის განმავლობაში არსებობდა — ამის უარყოფა შეუძლებელია, ეს ისტორიული ფაქტია. ვერ ვიტყვით, რომ რუსეთი, სსრკ და ამჟამინდელი რუსეთის ფედერაცია დიდი სიყვარულით ეპყრობოდნენ საკუთარ ხალხს. მით უფრო ვერ ვიტყვით ასე 100-ზე მეტი წლის განმავლობაში რუსეთის ნებისმიერი ხელისუფლების დამოკიდებულებაზე აფხაზების მიმართ.

მარტო დიდი სამამულო ომის განმავლობაში აფხაზეთმა თავისი მოსახლეობის 10%-ზე მეტი დაკარგა, ხოლო აფხაზების 30%-ზე მეტი იმ ომში დაიჭრა. რომ აღარაფერი ვთქვათ რევოლუციურ წლებსა და აფხაზეთის ავტონომიის ტერიტორიაზე სტალინურ რეპრესიებზე.

შემდეგმა — აფხაზი ხალხის სამამულო ომმა, რომელიც სსრკ-ის დაშლისა და საქართველოსა და რუსეთის იმჟამინდელი ხელისუფლებების პოლიტიკის გამო მოხდა, ასევე არაერთი აფხაზის სიცოცხლე იმსხვერპლა. აფხაზმა ხალხმა გაძლო, მაგრამ კიდევ მრავალი წლის განმავლობაში გამოკეტილი იყო ახლა უკვე საკუთარ და დამოუკიდებელ ქვეყანაში რუსეთის ფედერაციის მხრიდან ბლოკადის გამო.

აფხაზეთში ამ დრომდე ვერ ბრუნდებიან მუჰაჯირების შთამომავლები და აფხაზები თავისი რიცხოვნობით რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევარსაც კი ვერ შეადგენენ — იქ სახლობენ ეთნიკური სომხებიც, რუსებიც, ქართველებიც, ებრაელებიც...

ამ ფონზე დღეს რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთში მობილიზაციის აუცილებლობის შესახებ ალაპარაკდნენ. რას ნიშნავს ეს განცხადებები? რას ნიშნავს დამოუკიდებელი სახელმწიფოს დავალდებულება, მისი შვილები საზარბაზნე ხორცად გაუშვას მორიგ ომში, რომლის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება ამ ომის გამჩაღებლებსაც კი ვერ მოუხდენიათ?! რატომ უნდა გაწიროს მცირერიცხოვანმა აფხაზმა ხალხმა თავისი საუკეთესო შვილები? არადა, სწორედ საუკეთესოებს შეარჩევენ სამთავრობო სამუშაო ჯგუფი და შემდგომი სამობილიზაციო კომისიები „აფხაზეთის რესპუბლიკაში სამობილიზაციო მზადების ხარისხის წინასწარი შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავების შესახებ“ პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე.

ცხადია, რომ რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ გამოგზავნილი გეგმის მიხედვით აფხაზეთში შესარჩევ 3500 ადამიანს შორის არ იქნებიან არც მთავრობის, არც პრეზიდენტის დაცვის წევრები და არც თავად პრეზიდენტი ბჟანია, რომელმაც მთავრობას ზემოთხსენებული დავალება მისცა და რომელსაც ერთი ომი უკვე გამოტოვებული აქვს.

არადა, თუკი ეს მართლაც ესოდენ აუცილებელია ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი რუსეთისთვის, რომელიც რამდენიმე წელია, აფინანსებს აფხაზური ბიუჯეტის ნაწილს და თურმე, არ ძალუძს, თავად — ჩვენი პატარა რესპუბლიკის მოქალაქეების დახმარების გარეშე მოაბას თავი უკრაინაში მის სპეციალურ სამხედრო ოპერაციას, ლოგიკური იქნებოდა, მოეხდინათ აფხაზი ჩინოსნების, მილიციის, უშიშროების, საბაჟოს, ფისკალური ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სამსახურის მუშაკების ნახევრის მობილიზაცია — ეს ადამიანები, წესით, სათანადოდ მომზადებულები უნდა იყვნენ და ამასთანავე, სწორედ ისინი წარმოადგენენ რუსეთის საბიუჯეტო თანხების მომხმარებლებს, ზოგიერთები კი — დამტაცებლებსაც.

ჩვენს პრეზიდენტს ვურჩევდი, მიმართოს და საგნობრივად განუმარტოს რუსეთის პრეზიდენტს ისიც, რამდენი აფხაზი დარჩა ჩვენს პატარა ქვეყანაში ჯერ — რუსეთის იმპერიაში, ხოლო შემდეგ სსრკ-ში ყოფნის შემდეგ, ისიც, რომ აფხაზეთი ვიღაცამ უნდა დაიცვას, თუკი, როგორც ზოგიერთები ამბობენ, მეზობელი საქართველო, რომელიც აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს, „მეორე ფრონტს“ გახსნის და ისიც, რომ რუსეთსა და აფხაზეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულებაში ერთი სიტყვაც არაა აფხაზი ხალხის მობილიზაციის შესახებ.

სადღეისოდ რუსეთის სამობილიზაციო გეგმა შემდეგნაირად გამოიყურება: მაგალითად, 3,1 მლნიანი დაღესტნიდან 15.000 ადამიანის გაწვევა იგეგმება, ხოლო მოსახლეობის იგივე რაოდენობის მყოლი ნიჟეგოროდის ოლქიდან — 7.500-ის. „აფხაზეთის ოლქმა“ — როგორც ჩვენს რესპუბლიკას რუსეთის მაღალ წრეებში მოიხსენიებენ, თავისი 240.000-იანი მოსახლეობიდან 3.500 მოძალაძის მობილიზება უნდა მოახდინოს.

თავად განსაჯეთ. ასლან ბჟანიამ უკვე განსაჯა.

ინალ არისთავა

ვოლოდიმირ ზელენსკი: რუსეთს სურს უკრაინის ნაწილის ანექსია, რათა უკრაინელები თავის ჯარში შეიყვანოს

„ამ დღეებში, რუსეთი იმედოვნებს, რომ გამოაცხადებს უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების ახალ ანექსიას. დიდი ხანია, ამისთვის ემზადებოდნენ და დიდი ხანია, ეს აშკარაა. ვხედავთ ყალბ რეფერენდუმებს იმ ტერიტორიებზე, რომლების შთანთქმაც რუსეთს სურს.

ის, რომ რუსეთში მობილიზაცია ახალი კრიმინალური ანექსიის წინა დღეს გამოცხადდა, შემთხვევითი არაა. მიზანი აშკარაა — ოკუპანტს სურს, ოკუპირებული ტერიტორიის მცხოვრებლები ჯარში წაიყვანოს. ან მოგკლავენ, ან მოკლავ — რუსეთის სურვილია, აიძულოს ასიათასობით უკრაინელი ოკუპირებულ მიწებზე, ასეთი არჩევანი გააკეთოს“, — განაცხადა ზელენსკიმ.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

მომავლის სახელით

დიდ დიღომში, „ლელო არენაზე“, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, განათლების სამინისტროს, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუსა“ და საქართველოს რაგბის კავშირს შორის ოთხმხრივი მემორანდუმი გაფორმდა.

მსოფლიო რაგბის პროექტი – „ჩაერთე რაგბში“, ამიერიდან ქართულ სკოლებში ამოქმედდება და ქართულ რაგბის მნიშვნელოვან ბენეფიტებს მოუტანს. აღსანიშნავია, რომ მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიალს ესწრებოდნენ მსოფლიო რაგბის პრეზიდენტი **ბილ ბომონტი,** აღმასრულებელი დირექტორი **ალან გილპინი** და საერთაშორისო მიმართულებების ხელმძღვანელი **დევიდ ქერიგი.** მსოფლიო რაგბის უმაღლესი დონის დელეგაცია რაგბის კავშირის ხელმძღვანელობის გარდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და ვიცე-პრემიერს, სპორტისა და კულტურის მინისტრსაც შეხვდა.

პროექტში – „ჩაერთე რაგბში“ პირველ ეტაპზე საქართველოს 11 რეგიონის 150 სკოლა ჩაერთვება. ბავშვებთან პირველ ეტაპზე 60 ინსტრუქტორი და 300 გადამზადებული მასწავლებელი იმუშავებს, გოგონათა და ბიჭების რაოდენობა კი 15 000 შეადგენს. 8-წლიანი პროგრამის თანახმად, 2030 წლისთვის „ჩაერთე რაგბში“ 2000-მდე სკოლის 100-120 ათას გოგონასა და ბიჭს მოიცავს, რაც საბოლოოდ რეგისტრირებულ მორაგბეთა რაოდენობას, რომელიც დღესდღეობით 8 ათასს შეადგენს, გააოთხმაგებს.

პროექტის მიზნებია: ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; სპორტში გოგონებისა და ბიჭების თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა; სკოლებში უკონტაქტო რაგბის დანერგვა; ადგილობრივი სპეციალისტების დასაქმება; ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებებისთვის მორაგბეების აღზრდა.

მემორანდუმს ხელი ვიცე-პრემიერმა, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **თეა წულუკიანმა,** განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ **თამარ მახარაშვილმა,** საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ თავმჯდომარემ **ნიკოლოზ ჩხეტიანმა** და რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **იოსებ ტყემალაძემ** მოაწერეს. ცერემონიალს ესწრებოდნენ რაგბის კავშირის გამგეობის წევრები, ვეტერანი ბორჯღალოსნები და მორაგბეები, ასევე რაგბის კავშირის ორი ყოფილი პრეზიდენტი – გია ნიჟარაძე და მერაბ ანთაძე.

აღსანიშნავია, რომ სასკოლო რაგბის პროექტის დაწყება თბილისის „ლელო-სარასენსის“ 55 წლის იუბილეს დაემთხვა. იოსებ ტყემალაძემ მის დამფუძნებელს, ბათუ (ვასილ) კევლიშვილს ქართული რაგბის და ზოგადად ქვეყნის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

თეა წულუკიანი (ვიცე-პრემიერი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი): „განათლების სამინისტროსა და რაგბის კავშირს შორის საუკეთესო თანამშრომლობა შედგა იმისათვის, რომ რაგბი უფრო მეტად შევიდეს ჩვენს სკოლებში. საამაყოა, რომ პირველივე ეტაპზე ამ პროექტში 150 სკოლა ჩაერთვება და ბავშვები ეზიარებიან რაგბის ფასეულობებს, სპორტულ ქცევას, შეჯიბრის ფასს, შემდეგ კი, ვინც დაინტერესდება მაღალი მიღწევებისთვის გააგრძელებს შრომას. ეს არის ძალიან კარგი წამოწყება, რომელიც ვერ შედგებოდა, რომ არა საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ და მსოფლიო რაგბის ხელშეწყობა, რომლის თავმჯდომარესაც დღეს საქართველოში ვმასპინძლობთ.

თამარ მახარაშვილი (განათლების და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე): „სკოლის მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია განათლების და მეცნიერების სამინისტროსთვის. რაგბი ჩვენი თამაშია და როგორც სამინისტროს, ასევე რაგბის კავშირის მხრიდან უდიდესი ძალისხმევა ჩაიდო, რათა მოვსულიყავით ამ ეტაპამდე. რაგბის გაკვეთილები ამ ბავშვებს არაჩვეულებრივ უნარებს განუვითარებს. რაგბში უმნიშვნელოვანესია ლოგიკური დაგეგმარება, ერთობა, გუნდურობა და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ საქმეში განათლების და სპორტის სამინისტროებთან ერთად ჩართულია ფონდი „ქართუ“, რაც ამ პროექტს კიდევ უფრო მასშტაბურ სახეს მისცემს“.

ნიკოლოზ ჩხეტიანი (საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ თავმჯდომარე): „ფონდი ქართუ 10-წლეულების განმავლობაში ანხორციელებს საქველმოქმედო პროექტებს სხვადასხვა დარგში. ქართული რაგბი გამონაკლისი არ არის და ფონდმა მის განვითარებაში ძალიან დიდი ოდენობის თანხები ჩადო. ჩვენ ვხედავთ შედეგს, წარმატებას და ამას, რა თქმა უნდა, გაფრთხილება და შემდგომი ზრუნვა სჭირდება. ჩვენ ახალ თაობას უნდა შევუწყოთ ხელი, რათა მოხდეს მათი განვითარება. რაგბი ყველა ქართველის საზრუნავი უნდა გახდეს“.

ბილ ბომონტი (მსოფლიო რაგბის პრეზიდენტი): „მინდა აღვნიშნო რამდენად კმყოფილია მსოფლიო რაგბი იმ ფაქტით, რომ დღეს ამ ღონისძიების მომსწრე გახდა. ძალიან მნიშვნელოვანია სპორტისა და განათლების ასეთი მჭიდრო კავშირი. ვხედავ როგორ იზრდება ქართული რაგბი ყოველწლიურად და ვხედავ, რომ ამ ქვეყანას ბევრი სარაგბო ტალანტი ჰყავს“

იოსებ ტყემალაძე (რაგბის კავშირის პრეზიდენტი): „პროექტი, რომელიც მსოფლიო რაგბის მიერ არის მხარდაჭერილი, საშუალებას მოგვცემს უამრავი ბავშვი ჩავრთოთ სპორტში და ამისთვის დიდი მადლობა საქართველოს მთავრობას, განათლების და სპორტის სამინისტროებს, ფონდ „ქართუს“. ქართული რაგბი ბავშვთა რაგბის განვითარებაზე დგას და დღეს ამ კუთხით ძალიან კარგი დღეა. ვიწყებთ 150 სკოლით, თუმცა გვაქვს იმედი, რომ 2030 წლისთვის 2-ათასივე სკოლას ავითვისებთ. ეს არის შრომატევადი სამუშაო. მთავარია, რომ ეს ბავშვები ფიზიკურად და მორალურად იქნებიან ჯანმრთელი, მერე კი ასახელებენ ჩვენს ქვეყანას რაგბით და იმ ფასეულობებით, რასაც ემსახურება ქართული რაგბი“.

თორნიკე გოგებაშვილი (რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი): „დღეს ხელი მოეწერა ოთხმხრივ შეთანხმებას და საფუძველი ეყრება უმნიშვნელოვანეს პროექტს, სასკოლო რაგბს. ჩვენი მიზანია, რომ ეტაპობრივად მოვიცვათ ყველა სკოლა. ეს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ რაგბის განვითარებას, არამედ ქვეყანას აღუზრდის ჯანსაღ თაობას. რაც შეეხება მსოფლიო რაგბის თავმჯდომარის და მისი გუნდის ვიზიტს – 10 დღის განმავლობაში მსოფლიო რაგბის მეორე წარმომადგენლობითი დელეგაცია გვეწვია, რაც ქართული რაგბის წარმატებული რეფორმების და ტიერ1-ის გუნდთან მოპოვებული გამარჯვების გამოხმაურებაა. ქართული რაგბი მსოფლიო რაგბის რუქაზე შესაბამის ადგილს იკავებს. ჩვენ მათგან ყველა მიმართულებით უდიდეს მხარდაჭერას ვგრძნობთ“.

დავით კაჭარავა (რაგბის კავშირის გამგეობის თავმჯდომარე): „უპრეცედენტო შემთხვევაა, რადგან მსოფლიო რაგბის თავმჯდომარე ბილ ბომონტი საქართველოს თავის გუნდთან ერთად ეწვია, რათა თავისი თვალით ნახოს როგორ ვითარდება ქართული რაგბი და გაეცნოს იმ გეგმებს, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში გვაქვს. ამასთან ერთად, ხელი მოეწერა უმნიშვნელოვანეს მემორანდუმს, რომელიც სკოლებში უკონტაქტო, თაგ-რაგბის დანერგვას მოიცავს. დიდი მადლობა განათლების და სპორტის სამინისტროებს, საიდანაც უპრეცედენტო მხარდაჭერა გვაქვს. ასევე განსაკუთრებული მადლობა ფონდ „ქართუს“, რომლის მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდით. ეს პროექტი არა მხოლოდ რაგბისთვის, ქვეყნისთვისაც უმნიშვნელოვანესია, რადგან ჯანსაღი თაობა კიდევ უფრო დიდი ნაბიჯებით წაიყვანს წინ ჩვენს ქვეყანას“.

◎ ერთა ლიგა

ორიოდე ნაბიჯიც და...

საძართველოს ეროვნული ნაკრები ერთა ლიგის მესამე გათამაშების „გ“ დივიზიონის გამარჯვებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ შემდეგ ტურნირში „ბ“ დივიზიონში დაწინაურდება და, რაც მთავარია, 2024 წლის მარტში ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად როგორც ნახევარფინალურ, ისე, წარმატების შემთხვევაში, ფინალურ პლეი-ოფსაც საკუთარ მინდორზე გამართავს.

გილოცავთ!

თუმცა, არის კიდევ რამდენიმე სამაღარიჩო ფაქტი და საიუბილეო მოვლენა: როგორც მოგეხსენებათ, წინა ტურში ჩრდილოეთ მაკედონიასთან თბილისში „ჯვაროსნებმა“ 150-ე ოფიციალური შეხვედრა ჩატარეს, ხოლო ამჯერად გიბრალტარში მე-100 კეპი მოიხვეჭა გუნდის კაპიტანმა **გურამ კაშიამ,** რომელიც აღნიშნული მაჩვენებლით სფფ-ს თავკაცს **ლევან კობიაშვილს** და წინამორბედ **ჯაბა კანკავას** გაუთანაბრდა.

თავის მხრივ, არც **ვილი სანიოლი** ჩამორჩა შეგირდებს და 11 წაუგებელი ბრძოლით (9 მოგება და 2 ფრე) **თემურ ქეცბაიას** რეკორდი მოხსნა.

მაგრამ მთლად საზეიმოდ რომ არ გვაქვს საქმე, სეზონის დასკვნითმა აკორდმაც დაადასტურა. დავიწყოთ იმით, რომ კალათბურთელებისა არ იყოს, სადაც შენგელია შეუცვლელია, მისი თანამემამულენიც უყოჩოფარას დაემსგავსნენ ხელოვნურსაფარიანი სარბიელიდან (ესეც დამატებითი დაბრკოლება) კვარაცხელიას გასვლის შემდეგ და კინაღამ ქარს გაატანეს მთელი სეზონის მონაგარი.

კვლავ პრობლემატურად გამოიყურებოდა ჩაკვეტაძის ჯანმრთელობის საკითხი, რომელიც განაცხადს მიღმა ამჯერად მაღალი სიცხის გამო დარჩა, სრული ბედნიერებისთვის კი ამას ლორიას ტრავმაც დაემატა, რომელიც შესვენებაზე მამარდაშვილმა ჩაანაცვლა.

მთალიანობაში ბიჭებისა და მათი ფრანგი თავკაცის შეფასებისას კაცს აუგის სათქმელად ენა როგორ მოგიბრუნდება – სხვა თუ არაფერი, შარშანდელი ჩავარდნის შემდეგ ნაკრებში უმტკივნეულოდ დაინერგა **ახალი** – სამმცველიანი ტაქტიკა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ გუნდს საკმარისი საკადრო რესურსი გააჩნია საიმისოდ, რომ თუნდაც ლიდერის არყოფნაში ღირსეულად აბარებდეს გამოცდებს.

მოსალოდნელი იყო, რომ ბერძნები თბილისში ამჯობინებდნენ პლეი-ოფისთვის ჩამოსვლას, მაგრამ ჩრდილოეთ ირლანდიას 3:1 მოუგეს და პრინციპულ მეტოქეს – თურქეთს უმასპინძლებენ, ჩვენ კი ყაზახები გვეწვევიან. ეს ბრძოლები 2024 წლის მარტში გაიმართება.

მანამდე – გაისად შესარჩევი რაუნდი მოეწყობა, რომლის წილისყრაც ფრანკფურტში 9 ოქტომბერსაა დანიშნული.

◎ კერპი

სპორტიდან როჯერ ფედერერის წასვლის შემდეგ ჩოგბურთში „დიდი სამეულის“ ორი წევრი – რაფაელ ნადალი და ნოვაკ ჯოკოვიჩი დარჩა. ორივე ასაკოვანია და ბუნებრივია, იბადება კითხვა, ისინიც ხომ არ აპირებენ ჩოგნის ლურსმანზე დაკიდებას. ამაზე ჯოკოვიჩის სწრაფი პასუხია – არა!

ის ამბობს, რომ არ თვლის თავს „საკმაოდ ხნიერად“ იმისათვის, რომ წასვლაზე იფიქროს. 41 წლის ფედერერის გადაწყვეტილება მოსალოდნელი იყო – ასაკიც რომ არა, ტრავმები მას სათანდოდ ვარჯიშის საშუალებასაც კი არ აძლევდა. ტრავმები ნადალსაც მოუხშირდა, მაგრამ ის ჯერაც ახერხებს დიდი სლემის ტიტულების მოპოვებას, ჯოკოვიჩს კი ტრავმები ნაკლებად აწუხებს და მხოლოდ აუცრელობა უქმნის პრობლემებს.

„თავს ჯერ იმდენად ხნიერად არ ვგრძნობ, რომ კარიერის დასრულებაზე ვიფიქრო. ვგრძნობ, რომ სხეული ისევ მემსახურება. ეს მნიშვნელოვანია, როდესაც 35 წელზე მეტის ხარ“, – ამბობს ჯოკოვიჩი, ვინც უიმბლდონზე დიდი სლემის 21-ე ტიტულის მოპოვების შემდეგ კორტს ისევ ლონდონში, ლეივერის თასზე, ფედერერთან და ნადალთან ერთ გუნდში სათამაშოდ დაუბრუნდა.

„დიდ სამეულს“ ჯამში დიდი სლემის 63 ტიტული აქვს მოპოვებული. ყველაზე მეტი, 22 ტრიუმფი ნადალის ანგარიშზეა, ფედერერს კი 20 აქვს. ნადალმა ბოლო გამარჯვება საფრანგეთის ღია პირველობაზე მოიპოვა. პარიზულ ტურნირზე გამოსვლისას, ყოველი თამაშის წინ, გამაყუჩებლის გაკეთება უწევდა. ხშირი ტრავმების გამო, ბოლო დროს, წასვლაზე ისიც ფიქრობს, თუმცა დიდი სლემის ტურნირებზე გამარჯვებებს ჯერაც ახერხებს.

ჯოკოვიჩი ამბობს, რომ თავისი სათამაშო განრიგი შეამსუბუქა, რათა სხეული არ გადატვირთოს და ტრავმები აირიდოს.

„იმდენს აღარ ვთამაშობ, რამდენსაც წლების წინათ. მინდა, რომ ფორმის პიკს ყველაზე დიდი ტურნირების წინ მივაღწიო, ასეთები კი დიდი სლემის და ATP-ს ზოგიერთი ტურნირია. ვთამაშობ ჩემი ქვეყნისთვის, ეს კი მოტივაციას მიძლიერებს. ძალიან მინდა გაგრძელება. ამ მომენტისთვის ჩემი კარიერის დასასრულს ვერ ვხედავ“, – ამბობს სერბი ჩოგბურთელი.

დედოფლისწყაროელთა საჩუქარი გამოჩენილ დირიჟორს

19 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის (თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი, თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე) თაოსნობით გაიმართა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ოპერის დირიჟორის რევაზ ტაკიძის საიუბილეო საღამო. აღსანიშნავია, რომ ბატონი რეზო და ოპერის სოლისტები: არმაზ დარაშვილი, ოთარ ჯორჯიკია, მამუკა ლომიძე ჩვენი ასოციაციის წევრები არიან:



საიუბილეო საღამო გაიხსნა კომპოზიტორთა კავშირის ტრიოს: ქეთევან ათავშავაძის, ია ბახტაძის, მაია ჯინველიშვილის მიერ ვაჟა აზარაშვილის გულში ჩამწვდომი ქართული მუსიკალური ჰანგებით.

რევაზ ტაკიძეს მიეძღვნა საქართველოს მასშტაბით გამოვლენილი ნომინაციაში „გემოვნებიანი ქალბატონის“ დოფლისწყაროელი მხატვრული ქარგვის ფერმწერის ლია მაისურაძის პირველი პერსონალური გამოფენა, რამაც დამთვალიერებლებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. „მხატვრული ქარგვა“, ანუ ნემსითა და მულინის ძაფით ხატვა — საინტერესო და იშვიათია.

მაესტროს ღვაწლზე ვრცლად ისაუბრეს: მანანა ახმეტელმა, ნათელა ვაჩნაძეჟორდანიამ, ელდარ გეწაძემ, იმერი კავსაძემ. სახელოვან იუბილარს მიესალმნენ: ბორჯომიდან სპეციალურად ჩამოსული ღვაწლმოსილი პედაგოგი დალი ქურდაძე, რომელიც გაზეთ „ბორჯომის“ საკუთარი კორესპონდენტია, მწერალი დავით შემოქმედელი, ერნა წიფურია, აკადემიკოსი თამაზ შილაკაძე და სხვები. დედოფლისწყაროელების სახელით ახალგაზრდა დეკლამატორმა მარიამ ტოხიშვილმა იუბილარს საკუთარი ლექსი მიუძღვნა.

სახელმწიფო პრემიების ოთხგზის ლაურეატმა, სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების, მათ შორის ევროკავშირის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის დამფუძნებელმა გურამ ქაშაკაშვილმა რევაზ ტაკიძე დააჯილდოვა ზურაბ ანჯაფარიძის ლაურეატის დიპლომით და ოქროს მედლით.

საიუბილეო საღამო დაამშვენეს საოპერო მომღერლებმა **მარიამ როინიშვილმა, ნატალია ქუთათელაძემ, ელენე ჯანჯღავამ, თამარ ლობჟანიძემ** და სხვებმა.

მაესტროს და სპეციალურად მოწვეულ თბილისის ოპერის სოლისტებს: არმაზ დარაშვილს, მამუკა ლომიძეს, ოთარ ჯორჯიკიას დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ლიტერატურული ალმანახის „ხორნაბუჯის“ რედაქტორ-გამომცემელმა გიორგი ნატროშვილმა გადასცა რეზო ამაშუკელის ერთტომეული და საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის დიპლომები.

საიუბილეო საღამოს დასასრულს არმაზ დარაშვილმა და მამუკა ლომიძემ ბრწყინვალედ შეასრულეს აბესალომისა და მურმანის დუეტი ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი. დამსწრე საზოგადოებამ ისინი ხანგრძლივი აპლოდისმენტებით დააჯილდოვა. რეზო ტაკიძემ უღრმესი მადლობა გადაუხადა დედოფლისწყაროელებს, პროექტის ავტორს, ოპერის მეგობარს ნანა ჭიჭინაძეს, დამსწრე საზოგადოებას, ასეთი თბილი შთამბეჭდავი საღამოს გამართვისთვის.

საიუბილეო საღამოს საინტერესოდ უძღვებოდა ხელოვნებათმცოდნე ია ხურცილავა, სპონსორი გახლდათ „ნასრაშვილების საოჯახო მეღვინეობა“.

მარიკა პოპიაშვილი,
დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის მდივანი.

მესტიასა და თბილისში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღეს!

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბოლო პერიოდში, თბილისსა და მესტიაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღეს და სამი პირი დააკავეს, — ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.

უწყების ცნობით, დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების მთავარი სამმართველოს და საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული თ.ბ., ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ცეცხლსასროლი პისტოლეტი, ცეცხლსასროლი რევოლვერი, 2 მჭიდი და 17 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, 1976 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ი.გ. თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს. სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1994 წელს დაბადებული დ.ვ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ერთი მჭიდი და 12 ვაზნა“.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 104 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„ბათუმის დღეები“ ტრაპიზონში

ტრაპიზონში საქართველოს გენერალური საკონსულოს ინიციატივითა და ორგანიზებით, ბათუმისა და ტრაპიზონის მერიებისა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, 2022 წლის 23-24 სექტემბერს, ტრაპიზონში „ბათუმის დღეები“ გაიმართა.

ღონისძიებების ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან ტრაპიზონის გუბერნიას წარმომადგენლობითი დელეგაცია ეწვია, რომელშიც შედიოდნენ აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, მაია ხაჯიშვილი, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი, არჩილ ჩიქოვანი, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე, ბათუმის მერის მოადგილეები, სოფო ხალვაში და ლელა სურმანიძე, აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თამარ კაიკაციშვილი, აჭარის ა.რ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე გიორგი რომანაძე, ასევე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილ, ლევან ჯაში.

23 სექტემბერს ოფიციალური შეხვედრები გაიმართა ტრაპიზონის ვილაიეთის გუბერნატორთან, ისმაილ უსტაოღლუსთან და ტრაპიზონის მერთან, მურათ ზორლუოღლუსთან, რომელსაც აგრეთვე ესწრებოდნენ ტრაპიზონში საქართველოს გენერალური კონსული გელა ჯაფარიძე და ანკარაში საქართველოს საელჩოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი, დიანა მალაზონია.

შეხვედრების ფარგლებში, განხილულ იქნა ბათუმსა და ტრაპიზონს შორის ჰუმანიტარულ, კულტურულ-სპორტულ, სავაჭრო-ეკონომიკურ და ტურიზმის სფეროებში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების საკითხები. აღსანიშნავია, რომ ტრაპიზონისა და ბათუმის მერების მიერ ხელი მოეწერა მემორანდუმს „ორ ქალაქს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობების განმტკიცების შესახებ“, რა დროსაც „ბათუმის დღეების“ აღსანიშნავად გაიმართა ბათუმისა და ტრაპიზონის ქალაქების სიმბოლიკიანი სპეციალური მარკასუვენირის პრეზენტაცია.

ტრაპიზონში ბათუმის დღეების ფარგლებში მ/წლის 23 სექტემბერს გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ტრაპიზონის გუბერნიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელებისა და წევრების შეხვედრა, კონკრეტულად განეხილათ მათთვის საინტერესო ბიზნეს-წინადადებები და ერთობლივი ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობები. ამასთან, დღის ბოლოს გაიმართა „ბათუმის დინამოსა“ და „ტრაბზონსპორის“ 19 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის ამხანაგური მატჩი.

ტრაპიზონში „ბათუმის დღეების“ ღონისძიებების ფარგლებში შეხვედრა გაიმართა აღმოსავლეთ შავიზღვისპერეთის რეგიონში მცხოვრები ქართული ისტორიული დიასპორული ორგანიზაციების თავმჯდომარეებთან და წევრებთან.

ღონისძიებას ესწრებოდნენ „უნიეს ქართული კულტურისა და მეგობრობის ასოციაციის“ თავმჯდომარე მეჰმეთ უთუ, „ჩარშამბას ქართული კულტურის ცენტრის“ ხელმძღვანელი, ომერ სემიზი, „ორდუს ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და ურთიერთდახმარების ასოციაციის“ თავმჯდომარე ექრემ ქოშუმი, „სალიფაზარის ქართული კულტურის ასოციაციის“ ხელმძღვანელი ადემ იაზიჯი, სტამბოლის „ქართული კულტურის ცენტრის“ ხელმძღვანელი ფეჰმი უზალი (უსტიაშვილი), სტამბოლის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე ორჰან ბერიძე, თურქეთის შავიზღვისპირეთის სხვადასხვა რეგიონებიდან ქართული წარმოშობის ბიზნესმენები და ბიზნესმენთა ასოციაციის წარმომადგენლები.

ტრაპიზონში „ბათუმის დღეების“ ფარგლებში მ/წლის 24 სექტემბერს, ტრაპიზონის მერიის კულტურის ცენტრში გაიმართა ქართული ეროვნული სამოსისა და ქართველი მხატვრების ფერწერული ტილოების გამოფენა. აღსანიშნავია, რომ საგამოფენო დარბაზში ასევე მოეწყო ქართული უალკოჰოლო სასმელების დეგუსტაცია, ხოლო სახაჭაპურე ქსელის „რეტრო“ მზარეულების მიერ მოხდა „აჭარული ხაჭაპურის“ ადგილზე მომზადება და მასტერკლასის ჩატარებაჰდეგუსტაცია, რამაც დამსწრე საზოგადოების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. ამასთანავე, აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ გაიხსნა ტურისტული სტენდი, სადაც განთავსდა ინფორმაცია აჭარის რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესახებ.

დღის ბოლოს, მერიის კულტურის ცენტრის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა გალა-კონცერტი, რომელიც გახსნა ბათუმის მერის მოადგილემ, ცნობილმა მომღერალმა სოფო ხალვაშმა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ბათუმი“, აჭარის სახელმწიფო ვოკალურმა ანსამბლმა „ბათუმი“, ქართული წარმოშობის ცნობილმა მომღერალმა ბაიარ შაჰინმა და ადგილობრივმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ჰორონი“.

მალე ხელოვნური კუნძულითაც მოვიწონებთ თავს

ბათუმში უმსხვილესი საინვესტიციო პროექტის — ხელოვნური კუნძულის მშენებლობა ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. ბათუმი აილენდის პროექტის სამშენებლო სამუშაოებს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ადგილზე გაეცნო.

„ამბასადორი ჯგუფი“ 24-საათიან რეჟიმში ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს. კუნძულის ნაპირსამაგრი სამუშაოების შედეგად, უკვე შექმნილია 2 ჰა ტერიტორია ზღვაში. დასრულდა ზღვის ფსკერის გეოლოგიური და ბათიმეტრიული კვლევები. საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობდა საფრანგეთსა და თურქეთში. მაღალტექნოლოგიური მოწყობილობებით მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს წყლის მოდინებაზე დაკვირვება.

„ამბასადორი ჯგუფი“, პროექტის პირველი ფაზის განსახორციელებლად, 100 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. მის ფარგლებში, 2000 ადამიანი დასაქმდება. კუნძულზე იგეგმება მაღალი კლასის სასტუმროების, აპარტამენტების, გასართობ-გამაჯანსაღებელი სივრცეების, ვილების, საგანმანათლებლო დაწესებულებისა და იახტკლუბის განთავსება.

დუბაი ისევ მსოფლიოს გაოცებას ცდილობს

დუბაიში შესაძლოა გრანდიოზული კურორტი ააშენონ, რომელსაც მთვარის დიზაინი ექნება. პროექტზე კომპანია MOON World Resorts-ი მუშაობს. ისინი სასტუმროს აშენებას კუნძულ პალ ჯუმეიაზე გეგმავენ, გაყინულ პროექტ Dubai Pearl-ის ადგილას.

გარედან სასტუმროს რეალისტური კრატერებითა და მთვარის ზედაპირისთვის დამახასიათებელი ტექსტურით გააფორმებენ. შიგნით კი რესტორნები, სპა-ცენტრები, ატრაქციონები განთავსდება, რომლებიც მთვარის თემატიკის მიხედვით იქნება აწყობილი. მათ შორის, იქნება სივრცე, რომელიც სტუმრებს მთვარის „ზედაპირზე“ გასეირნების საშუალებას მისცემს. სავარაუდოდ, ეს სიამოვნება მათ 500 დოლარი დაუჯდებათ. პროექტის რეალიზაციის ღირებულება 5 მილიარდ დოლარად ფასდება. MOON World Resorts-ში ამბობენ, რომ პირველი ასეთი „მთვარე“ დედამიწაზე სავარაუდოდ 2027 წელს გაიხსნება.

შეჯახება კოსმოსში

NASA-ს ზონდი Dart-ი ასტეროიდ „დიმორფს“ შეეჯახა. შეჯახება გეგმური იყო, მისი მიზანი კი დედამიწისთვის პოტენციურად სახიფათო ასტეროიდებისთვის ტრაექტორიის შეცვლის მექანიზმის ტესტირებას ითვალისწინებს.

სპეციალისტების თქმით, მათ რამდენიმე კვირაში ეცოდინებათ რამდენად წარმატებული აღმოჩნდა მათი ექსპერიმენტი და შეიცვალა თუ არა შეჯახების შედეგად ასტეროიდის ტრაექტორია.

„დიმორფი“ დედამიწისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, თუმცა მომავალში რომელიმე კოსმოსური სხეული შეიძლება პლანეტაზე სიცოცხლეს დაემუქროს, ამიტომ NASA დედამიწის დაცვის ტექნოლოგიაზე მუშაობს. მისია DART-ის ღირებულება დაახლოებით 330 მილიონი დოლარს შეადგენს. მან ასტეროიდისკენ სტარტი 2021 წლის ნოემბერში აიღო.



იპოვეს ჰერაკლეს ქანდაკება



საბერძნეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ქალაქ ფილიპში არქეოლოგებმა ახალგაზრდა ჰერაკლეს უზარმაზარი ქანდაკება იპოვეს. ქანდაკება ძვ. წ. II საუკუნით თარიღდება და საკმაოდ კარგად არის შენახული. მეცნიერების ვარაუდით, ახალგაზრდა ჰერაკლეს ქანდაკება ჩვ. წ. VII-IX საუკუნეებში შადრევანს ამშვენებდა.

მათივე თქმით, აღმოჩენა ადასტურებს, რომ ბიზანტიის იმპერიაში წინაქრისტიანული ხანის ქანდაკებები საზოგადოებრივი სივრცეების მოსართავად გამოიყენებოდა.

ადამიანებმა მარსიც... დაანაგვიანეს

დასავლეთ ვირჯინიის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელმა ჩაგრი კილიჩმა დაითვალა, რამდენი კილოგრამი ნაგავი დატოვეს ადამიანებმა მარსის ზედაპირზე. ჩაგრი კილიჩის მიერ ჩატარებული კვლევის შესახებ The Conversation-ი წერს.

ჩაგრი კილიჩის გათვლებით, მარსის ზედაპირის კვლევის 50 წლის განმავლობაში ადამიანებმა „წითელ პლანეტაზე“ 7119 კილოგრამი ნაგავი დატოვეს. გაეროს მონაცემებით, სხვადასხვა ქვეყანამ მარსზე 14 სხვადასხვა ექსპედიციის ფარგლებში 18 ობიექტი გაგზავნეს. კილიჩმა მარსზე გაგზავნილი კოსმოსური აპარატების მასა შეაჯამა (9979 კგ) და ჯერ კიდევ მომუშავე აპარატის წონა (2860 კგ) გამოაკლო.

დოდონი შინაპატიმრობაში რჩება

კიშინიოვის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოლდოვის ყოფილი პრეზიდენტი იგორ დოდონი შინაპატიმრობაში დარჩება. ადგილობრივი მედიის ცნობით, შესაბამისი გადაწყვეტილება სასამართლომ 27 სექტემბერს მიიღო.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა ყოფილი პრეზიდენტის შუამდგომლობა, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ. ამასთან, სასამართლომ მხარი დაუჭირა პროკურატურის თხოვნას, შინაპატიმრობის ვადის 20 დღის ნაცვლად, 30 დღით გაგრძელებაზე. სასამართლომ შინაპატიმრობაში დატოვა ასევე დოდონის ნათესავი, პეტრუ მერინიანუ, რომელიც ექსპრეზიდენტის საქმეში ეჭვმიტანილია. ექსპრეზიდენტს ბრალად ედება პასიური კორუფცია, უკანონო გამდიდრება, სახელმწიფო ღალატი და დანაშაულებრივი დაჯგუფების მიერ პოლიტიკური პარტიის დაფინანსება. დოდონი დანაშაულს არ აღიარებს და საქმეს პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევს.

ირანში საპროტესტო გამოსვლები გრძელდება

დემონსტრაციები ქვეყნის დედაქალაქსა და რამდენიმე ქალაქში გაიმართა. აქციის მონაწილეებსა და პოლიციას შორის დაპირისპირება მოხდა, სამართალდამცველებმა დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია „ამნესთი ინთერნეიშენალის“ განცხადებით, პოლიცია აქციის მონაწილეების წინააღმდეგ არაპროპორციულ ძალას იყენებს. ასევე, ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, დაკავებულია ქალთა უფლებების დამცველი ფაიზა რაფსანჯანი, რომელიც ირანის ექსპრეზიდენტის ქალიშვილია.

გავრცელებული ინფორმაციით, პროტესტის გამო, ქვეყანაში შეზღუდულია ინტერნეტი.

ირანში მოქალაქეები საპროტესტო გამოსვლები ირანელი ქალის, მაჰსა ამინის გარდაცვალების შემდეგ მიმდინარეობს. 22 წლის მაჰსა ამინი თეირანში 13 სექტემბერს მორალის პოლიციამ ჰიჯაბის ტარების წესების დარღვევისთვის დააპატიმრა. დაკავებიდან რამდენიმე საათში, მის ოჯახს შეატყობინეს, რომ ამინი საავადმყოფოში იყო გადაყვანილი, სადაც სამ დღეში გარდაიცვალა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟურნალ-გაზეთი №170

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8336; ევრო - 2.7086
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0243;
100 რუბლი - 4.8675; თურქული ლირა - 0.1537;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6743;
1000 სომხური დრამი - 6.9819.

ამინდი 29 სექტემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +11, დღე +32
მთიანი რაიონები - ღამე +8, დღე +28
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +14, დღე +30
მთიანი რაიონები - ღამე +9 დღე +27
თბილისი: ღამე +15, დღე +31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge